საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №129 (2829) ხუთშაბათი, 28 მაისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


## პრეზიდენტი

### საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზად არის გააქტიუროს თანამშრომლობა

27 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე სამხრეთ ევროპული დეპარტამენტის უფროსი ემანუელ ვან დერ მენსბურგე. განიხილეს საქართველოს 1998 წლის ბიუჯეტის შესრულება და სხვა საკითხები, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის, საბანკო სისტემის განვითარებისა და კრედიტორებთან ურთიერთობის პრობლემები.

ემანუელ ვან დერ მენსბურგემ საქართველოს პრეზიდენტს დაუდასტურა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება, კვლავაც მაქსიმალურად დაეხმაროს საქართველოს, რომელთანაც თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი ხდება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## საზოგადოება

### გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, არ დაუშვას ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაცია



ენგურის ხიდთან. 1998 წლის 25 მაისი.
შალვა ათაბერიძის ფოტო.

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩაატარეს გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა რესპონდენტთა დამოკიდებულების მესწავლას გალის რაიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

**გამოკითხულთა 64 პროცენტი ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილებას, რომ ქვეყანა არ ჩაებას ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში.** ყოველი მეხუთე რესპონდენტი – 18 პროცენტი – მოითხოვს საომარი ოპერაციების დაუყოვნებლივ დაწყებას. გამოკითხულთა 18 პროცენტს უჭირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ერთმნიშვნელოვან შეკითხვაზე – „მაინც რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო საქართველოს პრეზიდენტს?" – მიღებულია შემდეგი პასუხები:

– გამოკითხულთა 23 პროცენტს მიაჩნია, რომ პრეზიდენტს უნდა გაეცა ბრძანება ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციების დაწყების მესახებ, ხოლო **რესპონდენტთა 77 პროცენტის აზრით, პრეზიდენტს არ უნდა დაეშვა ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციების დაწყება.**

საქინფორმი.

## გვილოცავენ

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო
თქვენო აღმატებულებავ

ნება მიბოძეთ თქვენო აღმატებულებავ გულითადად მოგილოცოთ თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

დიდად გვახარებს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველომ დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ექვსი წლის განმავლობაში, რაც ჩინეთმა და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს, ჩვენი ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა განუხრელად მტკიცდება. დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობა კვლავაც განვითარდება.

ვუსურვებ საქართველოს მშვიდობასა და აყვავებას, მის ხალხს კი ბედნიერებას.

**ძიან ძემინი,**
*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.*

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

გულითადად გილოცავთ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ სწრაფად განვითარებული ურთიერთობანი კარგად ასახავს, რომ ჩვენს ქვეყნებს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მშენებლობის სურვილი აქვთ.

საქართველო, რომელიც თქვენი აღმატებულების გონიერი მართვის შედეგად საერთაშორისო საზოგადოების პატივსაცემი წევრი გახდა, არ იშურებს ძალისხმევას რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად.

მწამს, რომ თურქეთისა და საქართველოს პარლამენტების ურთიერთობა გარდა იმისა, რომ საკეთილდღეო იქნება ორი ქვეყნისათვის, ასევე სამაგალითო გახდება რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცების თვალსაზრისით. ვისურვებდით, რომ კიდევ უფრო გაღრმავებულიყო ორმხრივი თანამშრომლობა.

ვსარგებლობ შემთხვევით და პირადად ჩემი და თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის წევრების სახელით გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ასევე ბედნიერებას ვუსურვებ მთელ ქართველ ხალხს.

**ჰიქმეთ ჩეთინი,**
*თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე.*

## კანონმდებლობა

### გამარჯვება, თუ კატასტროფა – ჩვენზეა დამოკიდებული,

#### – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე

27 მაისს გაიმართა პარლამენტის დაგეგმილი პლენარული სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია უძღვებოდა.

ამ ბოლო დროს გალის რაიონში შექმნილი ვითარება იყო პარლამენტის პლენარული სხდომის მსჯელობის საგანი. დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მოითხოვა ღია დებატების გამართვა, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ რეალურად პარლამენტში ვერ გადაწყდება ომისა და მშვიდობის საკითხი, ამიტომ უმჯობესი იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებას მიეცეს საშუალება მიხედოს ამ დღეებში გალიდან ლტოლვილ 30 ათას მცხოვრებს. იყო სხვა მოსაზრებანიც. საბოლოოდ პლენარული სხდომა შეწყდა. გაიმართა ბიუროს დახურული სხდომა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, როგორ გაეგრძელებინა მუშაობა პარლამენტს.

პლენარული სხდომა დღის მეორე ნახევარში გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქციათა უმრავლესობის აზრით ამ ეტაპზე არ იყო საჭირო დებატები და უნდა შეემუშავებინათ ერთიანი განცხადების, ან დადგენილების ტექსტი, პარლამენტმა გალის რაიონში დატრიალებულ მოვლენებზე ლაპარაკს გვერდი მაინც ვერ აუარა. სახალხო პარტიის ფრაქციამ დაჟინებით მოითხოვა, ღია ეთერში დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ფრაქციის ლიდერის მამუკა გიორგაძის საბოლოო დასკვნა კი ასეთი იყო: „იმ კურსს, რომელსაც პრეზიდენტი და მოქალაქეთა კავშირი ადგანან, ჩიხში მივყავართ. საპრეზიდენტო ხელისუფლება კრიზისს განიცდის".

მისი აზრით, როდესაც საქართველოში ასეთი ვითარებაა, ხელისუფლებამ უმჯობესია საშინაო პოლიტიკას მიხედოს, ვიდრე საგარეოს.

გალში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა: ზოგიერთების აზრით, თითქოს ჩვენ ამას ვაფასებთ როგორც გამარჯვებას, ცინიკურია, რადგან საქმე გვაქვს მრავალრიცხოვან ლტოლვილებთან, გადამწვარ სახლებთან, და, რაც სამწუხაროა, მსხვერპლთან.

იხ. მე – 2 გვ.

### გაერომ სათანადო შეფასება უნდა მისცეს აფხაზეთში შექმნილ ვითარებას

გაეროსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა პეტრე ჩხეიძემ აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტს მიმართა მოთხოვნით, გადაუდებლად გაიმართოს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა. მიმართვაში ნათქვამია, რომ „გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა და ავტორიტეტი, რათა აღიკვეთოს უდანაშაულო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, და სათანადო შეფასება მისცეს შექმნილ ვითარებას".

საქინფორმი.

## აჭარის შემოერთების 120 წლისთავისათვის

### დედასამშობლოსთან დაბრუნება

#### „ჩვენ ვიპოვნეთ ჩვენი დაკარგული ძმები..."

წლეულს, 25 აგვისტოს, სრულდება 120 წელიწადი აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთებისა. ეს დიდი ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ამ თარიღთან დაკავშირებით ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა გურამ შარაძემ დაასრულა მონუმენტური, 1000-გვერდიანი მდიდრულად ილუსტრირებული შრომა „ძველი ბათუმი".

გთავაზობთ რამდენიმე თავს ამ ნაშრომიდან, ხოლო წიგნი, დარწმუნებული ვართ, მალე იხილავს მზის სინათლეს.

იხ. მე – 3 გვ.



ბათუმი საუკუნის დასაწყისში.

## პარლამენტის თავმჯდომარე

### უფრო მეტად კონსტრუქციული ურთიერთობისათვის

საქართველოში იმყოფება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია, რომელიც კვირაზე მეტია საქართველოს მთავრობასთან ინტენსიურ მუშაობას ეწევა. დღეს სავალუტო ფონდის დელეგაცია და მისი ხელმძღვანელი ვან დერ მენსბრუგე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო.

შეხვედრაზე, რომელსაც პარლამენტის ეკონომიკური ბლოკის კომიტეტების ეროვნული ბანკისა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა ესწრებოდა, ისაუბრეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივაზე. ბატონ ზურაბ ჟვანიას შეფასებით, საჭიროა კონსტრუქციული და უფრო მეტად მოქნილი მიდგომების შემუშავება ორმხრივ ურთიერთობებში, ხოლო პარლამენტი ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ამ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.

პარლამენტის პრესსამსახური.

## გვწერენ

### მივხედოთ დედაბუნებას

#### მარტვილელები პრწანისსა და წეროვანში

სამწუხარო ფაქტია, რომ ამ ბოლო წლებში საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი უმოწყალოდ იქნა გაძარცვული და გაჩანაგებული, მაგრამ...

მაგრამ რაც იყო, იყო...

საქართველოს პრეზიდენტის მოწოდებამ – თითოეულ მოქალაქეს დაერგო თითო ძირი ხე – ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ბუნების დაცვა თითოეული პატიოსანი მოქალაქის ვალია, რომ ტყე ჩვენი სიმდიდრეა და მას თვალის ჩინივით გაფრთხილება, ზრუნვა და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

იხ. მე – 11 გვ.

## ინფორმაცია

### სრულიად საქართველო ზრუნავს

27 მაისს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო კომისიის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს გალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის გადაუდებელი დახმარების გაწევის მდგომარეობა.

ინფორმაციის თანახმად, დევნილი მოსახლეობისათვის პირველი გადაუდებელი დახმარების გასაწევად გამოყოფილია ერთი მილიონი ლარი. შექმნილი სასურსათო დეფიციტის სწრაფად ლიკვიდაციის მიზნით თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მხარეებისა და რაიონების ორგანიზაციებმა დევნილთ გაუგზავნეს პური, ძეხვეული, კონსერვები, ბავშვთა კვების პროდუქტები, ბურღულეული, მაკარონის ნაწარმი, მედიკამენტები, ლეიბები, კარვები, აქტიურობენ საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტი, ტრანსპორტისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროები.

15 საათზე სახელმწიფო მინისტრი შეხვდა ბიზნესმენთა და მეწარმეთა ჯგუფს. საწვავით, მაქრითა და ფქვილით დატვირთული ავტოკოლონები და ვაგონები დღეს ზუგდიდში ჩაიტანენ საჭირო რაოდენობის საწვავსა და პროდუქტებს. ბიზნესმენები და მეწარმეები მზად არიან ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაუწიონ დახმარება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ თანამემამულეებს.

17 საათზე ნიკო ლეკიშვილი შეხვდა მსხვილ გადამხდელებს. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ცალკეულმა ფირმებმა და კომპანიებმა უკვე გაგზავნეს დახმარება, ხვალ-ზეგ მსხვილ გადამხდელთა კავშირი ერთობლივი ძალებით გაუწევს დახმარებას დევნილ მოსახლეობას.

ნიკო ლეკიშვილმა მადლობა გადაუხადა ბიზნესმენებსა და მეწარმეებს, ბანკირებს თანადგომისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი დამოკიდებულება პრობლემისადმი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქმიანი წრეები სწორედ ის ძალაა, რომელსაც ნებისმიერ სიტუაციაში უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო.

### კახელთა ნობათი

გალის რაიონიდან ლტოლვილთა დასახმარებლად კახეთიდან 23 მაისს პირველადი მოხმარების საგნები გაიგზავნა, 26 მაისს – 15 ტონა სურსათი.



### ქრისტეს ამაღლება – რწმენის ამაღლება

დღეს, ძველი სტილით 15 მაისს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან მეორმოცე დღეს, მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულს – ამაღლებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, ეს დღე მოციქულთა პერიოდიდან აღინიშნებოდა საზეიმოდ.

საქართველოს ყველა ტაძარში შესრულდება საზეიმო წირვა-ლოცვა.

27 მაისს, საღამოს, საუფლო დღესასწაულის წინ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია ამერიკიდან თბილისს დაბრუნდა.

### ევროპის საბჭოში ვიქნებით

25 მაისს ლისაბონში ევროპის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ამ ორგანიზაციაში საქართველოს მესვლის საკითხი.

აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობით, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან შეხვედრაზე შვეიცარიის პარლამენტის დეპუტატმა ერნსტ მიულემანმა განაცხადა, რომ საქართველოს მიღება ევროპის საბჭოში, რომელიც პირველი იქნება კავკასიის ქვეყნებს შორის, პრაქტიკულად გადაწყდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროზე. საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ გადაწყდება ევროპის საბჭოში აზერბაიჯანის შესვლის საკითხი. ბატონმა მიულემანმა აღნიშნა, რომ იგი მომხრეა ევროპის საბჭოში ერთდროულად მიიღონ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო.

### ასი წლის იუბილეს ულოცავენ

ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მიწვევით შეერთებულ შტატებში მყოფი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ნიუ-იორკში შეხვდა ყოველთა სომეხთა კათალიკოსს გარეგინ პირველს.

ყოველთა სომეხთა კათალიკოსი შეერთებულ შტატებში მიწვეული იყო სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ამერიკის ეპარქიის ასი წლის იუბილეს გამო. ილია მეორემ მიულოცა გარეგინ პირველს ღირსშესანიშნავი თარიღი და ეჩმიაძინს საჩუქრად გადასცა მოოქროვილი საცეცხლური.

### გათავისუფლდნენ მისაღები და გამოსაშვები გამოცდებიდან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინადადება გალის რაიონის სკოლებში მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეთა მისაღები და გამოსაშვები გამოცდებისაგან გათავისუფლების თაობაზე და მათთვის შესაბამისი ცნობებისა და ატესტატების აკადემიური მოსწრების საფუძველზე გაცემის შესახებ.

გადაწყდა, გალის რაიონის სკოლების მასწავლებლები დაკმაყოფილდნენ უმოკლეს ვადაში ხელფასითა და უზრუნველყოფილი იქნენ სათანადო დოკუმენტაციით.

### „თბილგაზი" აუქციონზე გაიყიდება

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის გაყიდვის მიზნით კომერციული კონკურსი გამოაცხადა. აქციათა პაკეტის საწყისი გასაყიდი ფასი 6,0 მლნ დოლარს შეადგენს. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ, ან იურიდიულ პირებს შეუძლიათ, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია. საკონკურსო პირობებიდან აღსანიშნავია: აქციათა მფლობელი ვალდებულია საწარმოს ვალები და მასთან დაკავშირებული საკითხები მოაწესრიგოს, მომხმარებლები აღჭურვოს გაზის მრიცხველებით, უზრუნველყოს გაზის უსაფრთხო და შეუფერხებელი მოწოდება, უნდა დაიცვას ეკოლოგიური პირობები და სხვა. მყიდველმა „თბილგაზის" აქციათა საბოლოო გასაყიდი ფასის 51 პროცენტი სახელმწიფო ვალდებულებების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს, ხოლო დანარჩენი თანხა კი 1998 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაფაროს.

### ტყიბულ – ქუთაისის გზას მალე აღადგენენ

ტყიბულის მერიამ საქართველოში პირველმა, აღადგინა სოფლის გზის ბეგარა. სოფლის მოსახლეობა საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს გზის შეკეთებას. ტყიბულ-ქუთაისის გზა, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს, გამოცხადებულია საერთო სახალხო მშენებლობად. როგორც ქალაქ ტყიბულის მერმა დავით ცირეკიძემ განაცხადა, „გზის მონაკვეთები განაწილებულია თემების მიხედვით". სულ ტყიბულის ზონაში 9 თემია, რომელიც აერთიანებს 45 სოფელს. „ამ რამდენიმე დღის წინათ, 1000 კაცზე მეტი გამოვიდა სამუშაოდ და ბოლომდე შევაკეთეთ საწირე-მოწამეთის გზის მონაკვეთი. ნედლეული ძირითადად მოგვაქვს ადგილობრივი კარიერებიდან. ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ იენისის დამლევამდე გზა გამტარუნარიანი გახდეს" – აღნიშნა ქალაქ ტყიბულის მერმა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ".

## ენერგეტიკა

### გამორთეს გადაუხდელობისათვის

სათბობენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ „თელასის" მუშაკებთან ერთობლივად მოწყობილი მორიგი რეიდის დროს შემმოწმებლებმა 2874 ლარის დებიტორული დავალიანება გამოუვლინეს სააქციო საზოგადოება „მშენებელს" (დირექტორი ანზორ მიროტაძე), რომელსაც ვალის დაფარვამდე შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

მას „მარიამის" საშვების ობიექტს (დირექტორი დავით ჯალაღანია) „თელასის" ვალი 2170 ლარი აღმოაჩნდა. მოცემულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემდეგ მათაც გამოურთეს ელექტროენერგია.

შემმოწმებლებს გამონაკლისი არც ინდივიდუალური საწარმოს „იოთამის" (უფროსი იოთამ არჩვაძე), კოლექტივის წინამე დაუშვია. საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელი ეს ობიექტი, რომელსაც 10 კილოვატის მოხმარების ნებართვა ჰქონდა, 26 კილოვატი ჭარბი ელექტროენერგიის მოხმარების ფაქტზე ამხილეს.

დენს ასევე უნებართვოდ ხარჯავდნენ ქართული პურის (უფროსი რევაზ ესებუა) საცხობში.

## დღეს

### ამინდი

**დასავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +18+23; დღისით +30+35.
მთაში: ღამით +14+19; დღისით +25+30.
მაღალ მთაში: ღამით +7+12; დღისით +15+20.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +11+16; დღისით +25+30.
მთაში: ღამით +8+13; დღისით +22+27.
მაღალ მთაში: ღამით +3+8; დღისით +13+18.

**თბილისში:**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ღამით: +14+16 ; დღისით +28+30.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 28 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2.2004 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7613 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3450 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2271 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0527 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2177 ლარი. |

## უკანასკნელ საათს

გუშინ დილით რუსეთის საფინანსო სისტემაში კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, რომელიც დიდმა სავალუტო სპეკულაციურმა ოპერაციამ გამოიწვია. „ცენტრობანკს" სპეციალური სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება დასჭირდა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის.

გუშინ აშშ, იტალიისა და იაპონიის ბირჟებზე უმსხვილესი კომპანიების აქციები დაეცა: დოულ-ჯონსის საბირჟო ინდექსმა ნელს ქვემოთ დაიწია.

გუშინ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ნიჟნი ნოვგოროდის არშემდგარ მერს ანდრეი კლემენტიევს, რომლის არჩევა უკანონოდ იქნა მიჩნეული. სხვა დანაშაულთან ერთად მას დაუმტკიცდა ქალაქის განვითარებისთვის მიღებული კრედიტის – ორი მილიონი დოლარის მითვისება.

გუშინ ჩეჩნეთში ტყვეობიდან დაიხსნეს 7 რუსი მესაზღვრე.

საქართველოს რესპუბლიკა
№129. ხუთშაბათი, 28 მაისი, 1998 წელი

კანონმდებლები

# გამარჯვება, თუ კატასტროფა – ჩვენზეა დამოკიდებული,

## – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე

(პირველი გვერდიდან)

20 მაისს გალის რაიონში შეიყვანეს სადამსჯელო რაზმების მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელთაც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უნდა მოეწყო ქართველი მოსახლეობის ფართომასშტაბიანი წმენდა. სეპარატისტებს ორგანიზებული, შემართული წინააღმდეგობა გაუწიეს პარტიზანებმა და ქართულმა ლაშქარმა, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა. ამ მოვლენის სისხლიანი ციფრები, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ასეთია: ერთი კვირის განმავლობაში პარტიზანებმა 16 მებრძოლი დაკარგეს, მოწინააღმდეგემ – 230-ზე მეტი.

საქართველოს ხელისუფლების წევრები დიდი პრობლემის წინაშე დადგნენ – გაეცათ თუ არა ბრძანება ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ანალიზი მარტივია: ამას მოჰყვებოდა მომენტალურად საქართველოს ჩათრევა საომარ მოქმედებაში, რომლის სუბიექტი იქნებოდა არა ხელისუფლებისგან არაკონტროლირებადი სახალხო ლაშქარი, არამედ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები. საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ, თუ შეიძლება ითქვას, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – არ დაუშვა ფართომასშტაბიანი ომი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, ტყუილად სდებენ ბრალს პრეზიდენტსა და მის გუნდს, თითქოს ბოლომდე არ გამოიყენეს შესაძლებლობები.

„მე არ ვიცი, რანაირად უნდა გამოგვეხატა მზადყოფნა, რომ რუსეთს შეესრულებინა დადებითი როლი აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში. პირდაპირ გამოვაცხადეთ, რომ საქართველოში სამხედრო ბაზების არსებობის საკითხი, რუსი მესაზღვრეების საქართველოში ყოფნის საკითხი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და არის ველი ჩვენი კეთილმეზობლური თანამშრომლობისა, და სტრატეგიული პარტნიორობის უმთავრესი საფუძველია. რუსეთი, რომლის პასუხისმგებლობასაც აფხაზეთის კონფლიქტის გაღვივებაში თავად პრეზიდენტი ელცინი აღნიშნავდა 1994 წელს, მოვიწვიეთ, რომ შეესრულებინა მთავარი შუამავლის ფუნქცია, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ, – სხვათა შორის, ამით დაირღვა გაეროს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა, როდესაც არ შეიძლება მეზობელი სახელმწიფოს სამშვიდობო კონტინგენტის გამოყენება დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორების დროს.

ჩვენ ვაიძულეთ და მივაღწიეთ იმას, რომ გაეროსა და ეუთოს მხრივ უნიკალურ შეფასებათა საფუძველზე შეიქმნა ძალიან მყარი და ძლიერი იურიდიული საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა და ჩვენი, ქართველების შეფასება, პოზიცია მთელმა მსოფლიომ გაიზიარა: ის, რაც მოხდა აფხაზეთში, იყო უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა", – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ და დარბაზს შეახსენა, რომ შუამავლის როლს დღეს კონფლიქტის მოწესრიგებაში ასრულებს არა მარტო რუსეთი, არამედ ყველა ის სახელმწიფო, რომლებიც შედიან ეგრეთ წოდებულ საქართველოს მეგობართა ჯგუფში.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ უახლოეს მომავალში მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაეროს სამშვიდობო კონტინგენტს დაემატოს 300-მდე ჯარისკაცი, რომლებიც ჩადგებიან გალის რაიონში და პირველ ეტაპზე უზრუნველყოფენ მეთვალყურეთა უსაფრთხოებას, და სულ მცირე, შანდატი დასჭირდებათ დაშორიშორების ფუნქციის შესასრულებლად.

საქართველომ მოახერხა ის, რომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო პროცესი, რომელსაც ჰქვია მსოფლიოს რეგიონის გეოპოლიტიკური არქიტექტურის შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სულ ახლახან გამოვიდა სამოქალაქო ომიდან. ქვეყნის უშიშროების სტაბილური განვითარების ერთადერთი გარანტია ხომ საერთაშორისო პოლიტიკაა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ყველა ჩვენი პრობლემის მთავარი ამოსავალი წერტილი, მთავარი გასაღები ევრაზიის დერეფანია. აბრეშუმის გზა მხოლოდ ცენტრალური აზიის, ნავთობის ტრანსპორტირების გზა როდია. ეს არის ახალი სტრატეგია როგორც საქართველოსთვის, ასევე, ათამდე სხვა ქვეყნისთვისაც, რომელიც რეალურ დამოუკიდებლობას მოგვიტანს, დამოუკიდებლობას ეკონომიკურს, დამოუკიდებლობას უშიშროების მყარი გარანტიების შექმნის თვალსაზრისით და მოუტანს კეთილდღეობას თითოეულ ჩვენს თანამემამულეს. საქმე ეხება იმას, რომ უზარმაზარ რეგიონზე გავლენას პრაქტიკულად დაკარგავენ ის ძალები, რომლებიც ოცნებობენ და მისტირიან დამსხვრეულ იმპერიას.

ავტორი ამ სტრატეგიისა, რომელიც აღარ არის მხოლოდ ქართული ხედვა და ქართული სტრატეგია, რადგან პრაქტიკულად მას იზიარებს ყველა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი, სწორედ საქართველო და საქართველოს პრეზიდენტია.

საქართველოს შეუძლია გახდეს მართლა დერეფანი და თავისუფლება მისცეს რეგიონს. მეორე ვარიანტია, რომ საქართველომ საცობის, ჩიხის ფუნქცია შეასრულოს, რომელიც გამოკეტავს მილიონობით ადამიანს და მუდმივად დამოკიდებულს გახდის იმ ძალებზე, რომლებზეც იყვნენ დამოკიდებული ათწლეულების განმავლობაში.

აი, ეს არის ის, რისთვისაც ებრძოდნენ და ებრძვიან შევარდნაძეს – 1995 წლის აგვისტოში და შემდგომშიც, რათა ჯვარი დაუსვან პერსპექტივას როგორც საქართველოსთვის, ასევე, მისი მეგობარი ქვეყნებისთვისაც. ამიტომ ჩვენმა მტერმა და მოწინააღმდეგემ, სხვას რომ ვერაფერს მიაღწია, გადაწყვიტა, ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი – აფხაზეთი აემოქმედებინა, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველო თავისი უახლოესი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა ასე ახლო დამოუკიდებლობასთან. ჩვენ ორიენტირებული ვართ ევროპაში ინტეგრირებულ ფასეულობებზე, დემოკრატიული საქართველოს აშენებაზე და, ბევრი სირთულის მიუხედავად, სწორედ აქეთკენ ვაპირებთ ქვეყნის წაყვანას. დღეს ერთნაირად ახლოს ვართ როგორც საბოლოო გამარჯვებასთან, ისე საბოლოო კატასტროფასთან, რომელსაც იზეიმებს, თუ იწვნევს საქართველო, – ჩვენზეა დამოკიდებული.

ამდენად, ყველას სწორი არჩევანი გვმართებს.

პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ გაგრძელდა დეპუტატთა გამოსვლები.

სხდომის მუშაობამ გვიანობამდე გასტანა.

**საქინფორმი.**

---

საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

1998 წლის 16 მაისი ქ. თბილისი

**კავკასიის ქვეყნებსა და რეგიონებში საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრების სამედიცინო რეაბილიტაციისა და დასვენების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და მთლიანად კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად საბრძოლო მოქმედებების დროს

დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, სტრესის შემდგომი პერიოდის ლიკვიდაციის, კავკასიის ხალხების ერთმანეთს შორის თანაგრძნობისა და ნდობის განმტკიცების, მათი ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან არსებული ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივა, სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, „მშვიდობიანი კავკასიის" ეგიდით, კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრების სამედიცინო რეაბილიტაციისა და დასვენების შესახებ.

2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული ღსთ-ს და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიურომ (თ. მოსიაშვილი) უზრუნველყოს ინიციატივის განხორციელებისათვის შემუშავებულ წინადადებებთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთის ქვეყნებისა და რეგიონების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია.

3. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. მუბლაძე), სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან (თ. გაზდელიანი) ერთად შეარჩიოს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე 1998 წლის ზაფხულის პერიოდისათვის სათანადო ბაზა აღნიშნული ღონისძიებების მაღალ დონეზე მოსაწყობად.

4. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის მეშვეობით შეიმუშაოს კონკრეტული პროგრამა და უზრუნველყოს მისი სათანადო დონეზე განხორციელება.

5. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ზ. შენგელიას.

**ე. შევარდნაძე.**

---

პასუხი

# ერის გამხლეჩთა მიტინგზე არ დავდგებით

**26 მაისს სასტუმრო „ივერიის" წინ „მრგვალმა მაგიდამ" (ზ. არჩვაძის ფრთა) მიტინგის გამართვა სცადეს. მასში მონაწილეობა არ მიიღეს „ივერიაში" მცხოვრებმა ლტოლვილებმა, რამაც მომიტინგეების აღშფოთება გამოიწვია.**

**ამის შესახებ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრებიან სასტუმრო „ივერიაში" მცხოვრები ლტოლვილები.**

**ევგენი შულაია, სოხუმიდან ლტოლვილი:**

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და პირველი რესპუბლიკის დაარსების 80 წლისთავი ყველა ქართველისთვის წმინდა თარიღია.

გულსატკენია, რომ ამ დღესაც გამოჩნდნენ ადამიანები, ეგრეთ წოდებული „ზვიადისტები" თუ „მანანისტები", რომლებიც პოლიტიკაში ქულების მოპოვებას პროვოკაციისა და მიტინგობანის გზით ცდილობენ. ამ პროვოკაციაში მათ ლტოლვილების ჩაბმაც სურთ. და ეს დღეს, როცა ასე დაძაბულია ვითარება გალის რაიონში, როცა სამურზაყანოში ახალი ტრაგედია დატრიალდა.

ჩვენ კი ლტოლვილებს, სრულიად საქართველოსთან ერთად ერის გამთლიანება გვინდა, საკუთარ თავზე ვიწვნიეთ, რაც მეუძლია შუღლს და განხეთქილებას.

კმარა!

**მერი ბენაშვილი, ოჩამჩირიდან ლტოლვილი:**

– გამოვიდა გუშინ აქ, მიტინგზე ვიღაც, მერე ტელევიზიითაც უჩვენეს, „ივერიაში" მცხოვრებ ლტოლვილებს რა უჭირთ, ბინა აქვთ, წყალი აქვთ, შუქი აქვთ, რუსთაველზე ცხოვრობენ, ამიტომ არ გვიერთდებიანო.

სახლში დაბრუნებაზე ვოცნებობ, ისე არ მინდა მოვკვდე, ოჩამჩირეში ჩემს სახლ-კარს არ შევავლო თვალი. აქ, სასტუმროში გამოკეტილი ცხოვრება მირჩევნია? მაგრამ რაც უნდა მიჭირდეს, ერის გამხლეჩთა მიტინგზე არ დავდგები.

**დავით ონიანი, გულრიფშიდან ლტოლვილი:**

– გალში დატრიალებული მორიგი ტრაგედიის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავ. ხომ დაიწყო ქართველებისა და ოსების შერიგების პროცესი. ასევე, მოხდება ქართველებსა და აფხაზებს შორის. ჩვენ ამისთვის ყველაფერი უნდა ვილონოთ: მიტინგობანა და კვლავ შუღლი და განხეთქილება კარგს არაფერს მოგვიტანს. ნუთუ, ბოლოს და ბოლოს ეს ვერ უნდა შეიგნონ?

არ უნდათ ლტოლვილებს სახლში დაბრუნებაო, რომ აცხადებენ „მანანისტები", ის 30 000 გალელი რომ დაბრუნდა არ უნდოდათ და ძალით დააბრუნეს?

დაბრუნების იმედი ღმერთმა ნუ დაგვეიკარგოს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ლტოლვილების დაბრუნებისათვის. მინაური თუ გარეული ხელისშემშლელები რომ არა, აქამდე დაბრუნებულიც ვიქნებოდით.

---

ეხმაურებიან

# მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს

გალში შექმნილი მდგომარეობის კომენტირებისას აღსანიშნავია ორი მხარე.

იქ შექმნილი გაუსაძლისი, დროში გაწელილი პროცესი, რის შედეგადაც საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებადქცეული ადამიანები თავიანთ უპირველეს ადამიანურ უფლებებს იცავენ.

პრობლემის მეორე მხარეა აფხაზ ბოევიკთა მიერ შერჩეული დრო, რაც რუსეთის მიერ შერჩეულ დროს ჰგავს. მოკლედ, სიტუაცია ასე შეიძლება დახასიათდეს: რუსეთმა შემოაგდო პროვოკაცია, რასაც რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა. უმძიმეს მდგომარეობაშია ხელისუფლება. მან უნდა მოძებნოს ოპტიმალური გზა. – ერთის მხრივ, დაწყებული პროცესის კაპიტულაცია, მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენა და მეორეს მხრივ, არ უნდა დაუშვას სიტუაციის ესკალაცია.

ამისათვის აუცილებელია აღმასრულებელ დონეზე გარკვევა იმისა, თუ ვინ რაზე იყო პასუხისმგებელი, რატომ გამოვიდა სიტუაცია კონტროლიდან.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ ჩქარობს რუსეთი. მისი მიზანია საქართველო, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, ამოაგდოს დასავლეთის ქვეყნების არეალიდან. იგულისხმება ნავთობსადენი.

რუსეთის იმპერიულ ზრახვებს კი, სამწუხაროდ, ისევ ჩვენვე ვუწყობთ ხელს – ქართველები და აფხაზები. აქ მე არ ვგულისხმობ ქართველ პარტიზანებს. მათი ბრძოლა სამართლიანია.

გალში მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა მოწესრიგდეს. უნდა შევინარჩუნოთ ის, რაც მესანარჩუნებელია.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია,**
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

---

სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

**მოვლენის განვითარება, რომელზეც ამ წერილში გვექნება საუბარი, შარშან გაზაფხულზე დაიწყო. მაშინ რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა გადარჩენა იდღესასწაულა. პროდუქციამ (426-მილიმეტრიანი დიამეტრის მილები), რომელიც მაშინ შექმნეს, მართლაც რომ, საწარმო სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა.**

**გავიდა ერთი წელი და ამ უნიკალური მილების გლინვის, ტექნოლოგიის შემქმნელები და წარმოებაში დამნერგავები – ვახტანგ ჭეიშვილი (ხელმძღვანელი) რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მალხაზ თხელიძე – კომბინატის მილსაგლინავი საამქროს უფროსი, რობინზონ ლომიძე – კომბინატის ტექნიკური დირექტორი, ნოდარ მაისურაძე – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, გენერალური დირექტორის მოადგილე, პავლე წერეთელი, – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ლენინური პრემიის ლაურეატი, კომბინატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დემურ ხარაძე – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, კომბინატის ტექნიკური დირექტორის მოადგილე, – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1998 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ.**

# ჯილდომ წახალისება იცის...

მისალოცად რუსთავში ჩავედი. საწარმოს თავკაცი ადგილზე არ დამხვდა – დედაქალაქში წავიდა, თბილისის უნივერსიტეტის იუბილეზე არის დაპატიჟებულიო. „მეგზურობა" მეორე ლაურეატმა, კომბინატის ტექნიკურმა დირექტორმა რობინზონ ლომიძემ „იკისრა". მაღალი ჯილდო მივულოცე და ზოგიერთ საკითხზე გავესაუბრე.

**– ბატონო რობინზონ, მილი უამრავი გვინახავს, უფრო ფართო დიამეტრის და უფრო ნაკლებისაც. მაინც ისეთი რა თვისებებით გამოირჩევა 426-მილიმეტრიანი სხვებისგან, რომ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ. მილის შექმნის იდეა გაზის მოპოვებაში არსებულმა სიძნელეებმა განაპირობა. საქმე ის გახლავთ, რომ აირის მოპოვების პროცესში წიაღში რჩება გაზის შედედებული მასა, რომლის ამოტუმბვა ერთობ რთულია. სხვადასხვა ქვეყანაში საამისოდ სხვადასხვა დიამეტრის მილებს იყენებენ. რუსეთის გაზის მრეწველობამ კი სწორედ 426-მილიმეტრიანი მილი მოითხოვა.

**– მერე და, რატომ თვითონ არ შექმნეს? რუსეთის მრეწველობას ვითომ ჩვენზე ნაკლები შესაძლებლობები აქვს?**

– ვერ გეტყვით, რომ ჩვენზე ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ ასეთი მილი რომ ვერ შექმნეს, ესეც ფაქტია. ჯერ კიდევ 80-იან წლებში წამოიჭრა ეს პრობლემა, რომლის გადაწყვეტაში მთელი საკავშირო ინსტიტუტები ჩაერთვნენ, მაგრამ იმხელა კაპიტალდაბანდებები მოითხოვა, რომ იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ.

**– ჩვენ კი ასეთი კაპიტალდაბანდებები გავილეთ?**

– საქმეც ეგ არის, ისეთი ტექნოლოგიური ცვლილებები შევიტანეთ, რომლებიც დიდ თანხებს არ მოითხოვდა. უმცირესი დანახარჯებით მივიღეთ უმაღლესი ხარისხის ცხლად ნაგლინი, უნაკერო, გაზლიფტური მილი, რომელსაც დღეს წარმატებით იყენებს რუსეთის გაზის მრეწველობა. იგი სპეციალური მარკის ფოლადისგან მზადდება, რომელიც 60-გრადუსიან ყინვას უძლებს და ციმბირის პირობებშიც მესანიშნავად მუშაობს.

**– როგორც ვიცი, ვოლსკის ქარხანაშიც მუშაობენ ასეთი მილების შექმნაზე.**

– დიახ, უკვე სამი წელია მუშაობენ, მაგრამ უშედეგოდ. უფრო ადრე ჩელიაბინსკის ქარხანამაც სცადეს, მაგრამ ისეთი თანხები დაუჯდათ მუშაობა, რომ უმალ მეწყვიტეს.

**– გამოდის, რომ თქვენ ამ საქმეში მონოპოლია გაქვთ და ფასსაც თქვენ სთავაზობთ?**

– მაგრამ უფრო დიდი მონოპოლისტი თუ რუსეთია?

**– როგორ, ახლა არ მეუბნებოდით, რუსეთმა თავი მოიკლა და ასეთი მილები ვერ შექმნაო?**

– მილები ვერა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაზის მონოპოლია აქვს. თუ გაზი არ მოგვცა, ჩვენ ერთ დღესაც ვერ ვიმუშავებთ. ეს კარგად მოეხსენებათ და საკმაოდ გვარიანადაც გვავიწროებენ.

**– ალბათ, 426-მილიმეტრიანი მილიც ამ შევიწროების შედეგია?**

– ასე გამოდის. შარშან მარტში გაზი შეგვიწყვიტეს და ულტიმატუმი წამოგვიყენეს – ან მოგვცემთ ისეთ მილებს, როგორიც გვინდა, ან გაზს, საერთოდ, ვეღარ ეღირსებითო. ჩვენ შევქმენით ახალი პროდუქცია და კომბინატს სიცოცხლე შევუნარჩუნეთ.

**– რადგან ასეა, ფასსაც, ალბათ, ისინი გვკარნახობენ.**

– რა თქმა უნდა, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ პარტნიორის ინტერესებს და მილებს შეღავათიან ფასში ვაძლევთ. ერთი მილის წარმოება კომბინატში 900 დოლარი ჯდება, სარეალიზაციო ფასი კი 950-1000 დოლარს არ აღემატება.

**– რეალური საბაზრო ფასი როგორია?**

– 1500 დოლარი.

**– თქვენც ადექით და მილები ბაზარზე გაიტანეთ.**

– ასეც ვაპირებთ. ამჟამად შუა აზიის ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. თუ ფასზე შევთანხმდით, ჩვენს პროდუქციას, ვფიქრობთ, კარგი ბაზარი ექნება.

რუსთაველ მეტალურგებს საგარეო ბაზარზე გასვლის სხვა გარანტიებიც აქვთ. ისინი ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში, კასპიის ნავთობის მოპოვების პერსპექტივასთან დაკავშირებით, მათ მილებზე მოთხოვნილება გაორმაგდება. ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, საწარმოს მოდერნიზაცია (რასაც ამჟამად ახორციელებენ), ბუნებრივია, აამაღლებს მილების კონკურენტუნარიანობას, გაზრდის კომბინატის შემოსავლებს.

მარტო ეს არ არის. კომბინატის მესვეურები უკვე ფიქრობენ თუჯის წარმოების აღდგენაზე, რაშიც ეთანხმება მმართველი კომპანიაც. ამის გაკეთება მით უფრო აუცილებელია, რომ ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად იკლო ჯართის წარმოებამ და მას ჩვენი მეტალურგები უკვე მეზობელ ქვეყნებში დაეძებენ. აქვე, ალბათ, უპრიანი იქნება ვთქვათ: პარლამენტში მზადდება საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ საქართველოდან ჯართი საექსპორტოდ გავიდეს. თუ ეს გაკეთდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხაზინას ერთგვარ შემოსავლებს მისცემს, ხალხიც დასაქმდება, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ვარაუდობენ, ჩავარდება მეტალურგია.

რა უფრო უკეთესია: მეტალურგიაზე ავიღოთ ხელი თუ ჯართის ექსპორტზე?

როგორც კომბინატში მითხრეს, საწარმოში თუჯის ჩამოსხმის განახლებით დაინტერესებულია რუსეთ-უკრაინის ერთობლივი ფირმა „ინდუსტრია". თუ მოლაპარაკება შედეგიანად დამთავრდა, „ინდუსტრია" შემოიტანს ნახშირსა და კოქსს, დანადგარები გაიმართება და თუჯიც ჩამოისხმება.



23 აპრილს, ოთხთვიანი „შესვენების შემდეგ კვლავ აგუზგუზდება მარტენის ღუმელი, რომელმაც კომბინატი მოკიდან გამოიყვანა. მუშაობენ საგლინავი საამქრო, მილსაგლინავი „აგრეგატი 140", სადღაც 10 დღეში ფერხულში ჩაერთვება „აგრეგატი 400"-იც, რომელიც 426-მილიმეტრიან მილებს უშვებს.

მაგრამ მარტო ეს რას იკმარებს. ორ კვირაში ამოქმედდება მარტენის მეორე ღუმელიც, რაც კომბინატის გაჭირვებულ ეკონომიკას დიდად შეემველება. სამომავლოდ კი აპირებენ მარტენის ღუმელების ელექტროღუმელებით შეცვლას (მარტენის ღუმელები ცივილიზებულ მსოფლიოში რუსეთისა და საქართველოს გარდა, არავის აღარ შემორჩა), რაც კომბინატის პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე სულ სხვა პრესტიჟს შეუქმნის. ამის თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანულ ფირმა „ფუქსთან", რომლის წარმომადგენელი უკვე ეწვია რუსთავს. თუ კონტრაქტი დაიდო, ამოქმედდება ფოლადის ჩამოსხმის უწყვეტი ხაზი, რომელიც პროდუქციას 40 პროცენტით გააიაფებს და საერთაშორისო ბაზარზე მას კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამით დაინტერესებულია კომბინატის მმართველი კომპანია „მეტალურგოილგაზინვესტი", რომელსაც დიდი კაპიტალდაბანდებების გაღება მოუწევს. მაგრამ თუ რუსთაველთა ოცნება ახდა, იქნება პროდუქციის სიუხვე და, ბუნებრივია, მოგებაც, რომელიც ქართველ მეტალურგთა გაჭირვებას მალავოსავით მოეცხება.

...არ დამავიწყდება აპრილის ის დღე, რუსთავში ფოლადის მეორედ დაბადებას რომ შევესწარი. არც მეფოლადეთა სახეები, რომლებიც ამ დღესასწაულის შემოქმედნი იყვნენ. მათ ამჯერადაც შევხვდი და ვესაუბრე. საერთო აზრი ასეთია: სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა ერთეულებს ხვდათ წილად, მისით გამოწვეული სიამაყე და სიხარული კი მთელ კოლექტივს. თვით ლაურეატებიც თვლიან, რომ მაღალი ჯილდო მარტო მათი კი არა, ყოველი მეტალურგის ჯილდოც არის.

ჯილდომ წახალისება იცის. რუსთაველი მეტალურგები ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე 200 ათას ტონა ფოლადს ჩამოასხამენ, 160 ათას ტონა ნაგლინს, გამოუშვებენ 100 ათას ტონა მილს, საიდანაც 10 ათასი ტონა მარტო 426-მილიმეტრიანი იქნება. თუ ეს პროგრამა შესრულდა, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ქართული მეტალურგია წელში გაიმართება.

**ოთარ ხუციშვილი.**



ვახტანგ ჭეიშვილი



მალხაზ თხელიძე



რობინზონ ლომიძე



ნოდარ მაისურაძე



პავლე წერეთელი



დემურ ხარაძე

# სტუდენტობა ყველგან მამოძრავებელი ძალაა!




მოსკოვში არ წყდება სტუდენტთა გამოსვლები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

## ევრო დამნაშავეთა სახელფოებში დაიბეჭდება?

ნამდვილი პანიკა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ მოუპარავთ მომავალი ქაღალდის ევროების ზესაიდუმლო პოლოგრაფიული შტამპი, წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". კლიშე, რომლის მეშვეობითაც ქაღალდის ერთიან ვალუტას დაედებოდა სპეციალური პოლოგრაფიული ნიშანი, საიდუმლოდ გაქრა „ერ ფრანს" ავიაკომპანიის თვითმფრინავიდან. თვითმფრინავს კლიშე პარიზიდან მიუნხენს უნდა ჩაეტანა. მიუნხენის აეროპორტში ჩასვლისას, ეკიპაჟმა, რომელიც ძვირფას ტვირთს ყარაულობდა, აღმოაჩინა, რომ კლიშე გამქრალიყო, და განგაში ატეხა. შტამპის ინტენსიურ ძიებას შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, არ არსებობს ზუსტი ვერსია, სახელდობრ, როდის მოიპარეს იგი: პარიზში, სადაც ამინდის პირობების გამო გაფრენა ოცი წუთით გადაიდო, ფრენის დროს, თუ მიწაზე დაშვების შემდეგ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, საფრანგეთის „პოლოგრაფ ინდასტრიზის" ფირმის მიერ დამზადებული კლიში იგზავნებოდა მიუნხენში, სადაც პირველი ევროები უნდა დაებეჭდათ. პოლიციას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ კლიშე მოხდა თაღლითების ხელში, რომლებიც მას თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოიყენებენ.

## საჰაერო ხიდი გაიდო

განახლდა ავიამიმოსვლა სარაევოსა და ბელგრადს შორის, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. „ეირ ბოსნია" ავიაკომპანიის თვითმფრინავმა „იაკ-42"-მა იუგოსლავიის დედაქალაქში ჩაიყვანა მთავრობის წევრთა და ჟურნალისტთა დელეგაცია. ამ მარშრუტით უკანასკნელი სამოქალაქო რეისი მოეწყო 1992 წლის მაისში, ბოსნიის ომის წინ. მიმდინარე მოლაპარაკების მიუხედავად, იუგოსლავიამ და ბოსნიამ ჯერჯერობით ვერ დაამყარეს სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ახლა „ეირ ბოსნია" და იუგოსლავიის „ჯეი-ეი-თი" ავიაკომპანია განახორციელებენ ყოველკვირეულ რეისებს სარაევო-ბელგრადის მარშრუტით.



ეროვნულ ტრაგედიად იქცა იტალიის კამპანის ოლქში მომხდარი სტიქიური კატასტროფა, სადაც კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია მდინარე სარნოს ადიდება, მეწყერი და ღვარცოფი. მსხვერპლთა რიცხვმა ასს გადააჭარბა.

## „მიწა ხარ და... ფერფლად იქეცი" – სადაური წესია?!

ჰონკონგის გაზეთი „პიპლ დეილი" წერს, რომ ჩინეთში გაჩნდა ახალი ერთობ შემოსავლიანი ბიზნესი: გვამების მოტაცება. ყველაფერი მარტივად აიხსნება. ბევრი ადგილობრივი ადმინისტრაცია დაკრძალვის ნებართვას გასცემს მხოლოდ კრემაციის შემდეგ, რათა არ გამოიყვანოს ზედმეტი მიწები სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან; ხოლო ის ოჯახები, რომლებიც მამაპაპურ დაკრძალვას ამჯობინებენ, იძულებული არიან, „სპეციალისტებს" მიმართონ. მათი ამოცანაა, მოიტაცონ ცხედარი საავადმყოფოდან ან მორგიდან. მაგალითად, ახლახან დაპატიმრებულმა დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელმა შანდონგის პროვინციაში ნახევარი წლის მანძილზე 19 გვამი მოიტაცა და ამ გზით 2400 დოლარი იშოვა.

## კლონირებას რაღაც ეშველება, მაგრამ კლანირებას — ვერაფერი!

სუპარტოს კორპორაცია შეიძლება ჰაბიბის კორპორაციად იქცეს – ასე აფასებს ინდონეზიაში ძალაუფლების შეცვლას ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველი. ბაჰარუდინ იუსუფ ჰაბიბი გახდა იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც ფლობდნენ თვით სუჰარტო, მისი ოჯახი და მეგობრები. სუჰარტოს ოჯახს ეკუთვნის ავტომაგისტრალები, აეროპორტები, ბანკები, საფინანსო კორპორაციები, ეროვნული ავტომობილის წარმოება. სუჰარტოს გარემოცვა ხელს აფათურებს ინდონეზიის ეკონომიკის ყველა სექტორში. ცოტა ხნის წინათ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, სუჰარტოს ოჯახმა რამდენადმე დაიოკა მადა, მაგრამ ისეთმა წვრილმანებმა, როგორიც არის, ვთქვათ, მიხაკის ზეთის წარმოების მონოპოლიის ლიკვიდაცია, როდი გააკოტრა სუჰარტოს კლანი, რომელსაც იგი 32 წლის განმავლობაში არ აკლებდა ოქროს წვიმას. საეჭვოა, რომ ჰაბიბიმ, საკუთარი ეკონომიკური იმპერიის მეთაურმა, შეძლოს, ბოლო მოუღოს კლანურობას სახელმწიფოს მართვაში. ყოფილი ვიცეპრეზიდენტი ხელს უწყობს (გავლენითა და საიმედო ნათესავებით) თავდაცვითს წარმოებას, სახელმწიფო ავიასამშენებლო კომპანიას, სხვა მაღალტექნოლოგიურ და ძვირფას პროექტებს. ასე რომ, პერსონალიების შეცვლა სულაც არ არის პოლიტიკური სისტემის შეცვლის გარანტია, აღნიშნავს სტატიის ავტორი. სხვათა შორის, ანალიტიკოსები თავიდანვე აცხადებდნენ: სუჰარტო ძალაუფლების გადაცემას დათანხმდება მხოლოდ იმ პირობით, თუ მისი შვილების საქმიან ინტერესებს ვნება არ მიადგება. ეს დაადასტურა თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვირანტომაც. „არმია დაიცავს სუჰარტოს და მის ოჯახს", – განაცხადა ვირანტომ, როდესაც ჰაბიბიმ ფიცი დადო და ქვეყნის მეთაურის თანამდებობა დაიკავა.

## იხსნება ექსპო-98



პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონს რთავენ მსოფლიო გამოფენა „ექსპო-98-ის სიმბოლოებით. ოფიციალურად, გამოფენის გახსნის ცერემონია ხუთშაბათს გაიმართება.

## გინგრიჩი კლინტონს „პრორიჩინურ" პოზიციებზე დგომას აბრალებს

აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნიუტ გინგრიჩმა მოითხოვა, შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც შეამოწმებს ცნობებს კლინტონის ადმინისტრაციის მიერ ჩინეთისათვის ზეზუსტი ტექნოლოგიების გადაცემის შესახებ. უფრო მეტიც, როგორც ასოშიეიტედ პრესი იუწყება, გინგრიჩმა განაცხადა: ბილ კლინტონი არ უნდა გაემგზავროს ვიზიტად ჩინეთში, სანამ ეს საკითხი ბოლომდე არ გაირკვევა. კომისიამ უნდა შეამოწმოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კლინტონის ადმინისტრაცია ეხმარებოდა „ლორალ სპეის ენდ კომუნიკეიშნზ" კომპანიას, რომელიც ახორციელებდა ტექნოლოგიურ მიწოდებას ჩინეთში. ამასთან, ცნობილია, რომ კომპანიის გენერალური დირექტორი ბერნარდ შვარცი იყო კლინტონის 1996 წლის საარჩევნო კამპანიის მთავარი ინვესტორი. ვარაუდობენ, რომ ჩინეთს გადაეცა ინფორმაცია, რომელმაც მეტი საშუალება მისცა უფრო სრულყოფილი გაეხადა თავისი ბალისტიკური რაკეტები. ნიუტ გინგრიჩმა ხაზი გაუსვა, რომ მთავარი სულაც არ არის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, საქმე ეხება აშშ ეროვნულ უშიშროებას და ამერიკის კანონმდებლობის დარღვევას.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

### კალათბურთი



მიხეილ კეკელიძეს ქართული კალათბურთის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. მის ხელში დაფრთიანდნენ სახელმოხვეჭილ კალათბურთელთა თაობები. მისი ღვაწლის დასაფასებლად და სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის შემდგომი განვითარებისთვის ხელშესაწყობად საქართველოს მთავრობის, განათლების სამინისტროსა და სპორტკომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით 1985 წელს შეიქმნა ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის 58-ე საშუალო სკოლა, რომელსაც მიხეილ კეკელიძის სახელი ეწოდა. მისი პირველი დირექტორი გახლდათ ამ საქმის სულისჩამდგმელი, ძია მიშას აღზრდილი, საერთაშორისო კლასის ოსტატი ლევან ჩხიკვაძე.

ერთი წლის შემდეგ ლევანი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ გადაიყვანეს, სკოლის დირექტორად კი მიხეილ კეკელიძის ვაჟი – მერაბი დაინიშნა, რომელიც დღემდე უნარიანად უძღვება სკოლის საქმიანობას და, იმავდროულად, ბავშვთა საკალათბურთო ლიგის პრეზიდენტიც გახლავთ.

## ხახვსა და პურზე კალათბურთელს ვერ აღზრდი!

– ჩვენს სკოლაში მრავალი კალათბურთელი დაოსტატდა, – გვიამბობს მერაბ კეკელიძე, – აქ გაიარეს წრთობა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, დავით ბერძენიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, გოდერძი კორძაძემ, მამუკა აბრამიძემ, მამუკა ტურაშვილმა, ამბროსი ორმოცაძემ და სხვებმა. ამჟამად ჩვენთან 320 ბავშვი სწავლობს ჩვეულებრივი საშუალო სკოლის პროგრამებით, ოღონდ ეს არის, რომ დაწყვილებული გაკვეთილები გვაქვს, რაც ხელს უწყობს სპორტსმენებს, მაქსიმალურად აითვისონ სასწავლო პროგრამა და ვარჯიშებსა თუ საწვრთნელ შეკრებებშიც ხელი არ შეემალოთ.

***– დროის შესაფერისი სპორტსმენის მოსამზადებლად სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახსრებია საჭირო. ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?***

– მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით მდგომარეობა ნორმალურია. გვაქვს ექვსი დარბაზი, ერთი – ბავშვთა კალათბურთის სასახლე 2200 დასაჯდომი ადგილით, კვების ბლოკი, მძლეოსნური მანეჟი დიდუბეში და კინოდარბაზი 200 მაყურებლისათვის. ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" (პრეზიდენტი თემურ ჭყონია) დახმარებით ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ცენტრალური გათბობა დავამონტაჟეთ. ცხელი წყალიც გვაქვს. ასე რომ, ზამთარ-ზაფხულ სავარჯიშოდ და სათამაშოდ ნორმალური პირობებია.

აი, სახსრები კი ნამდვილად გვაკლია. ხელფასის ფონდის გარდა, სხვა თანხა არ გვეძლევა და როგორ უნდა მოამზადო ბავშვები შეჯიბრებებისთვის?! ჩვენი სკოლის ბაზაზეა დაკომპლექტებული საქართველოს კადეტთა ნაკრები, რომელიც წლეულს ავსტრიაში ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებს გამართავს რიგაში. გუნდში 1983 წელს დაბადებული შვიდი ბიჭი გვყავს ორი მეტრი და მეტი სიმაღლისა. მათ კალორიული საჭმელი, ჩაცმა-დახურვა ხომ სჭირდებათ? სასურველ შედეგს, რომ მიაღწიო, დღეში ორჯერადი ვარჯიშები უნდა ჩაუტარო, საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე წაიყვანო, რომ გადამწყვეტი შეხვედრებისას საკუთარი ძალების მეტი რწმენა ჰქონდეთ.

ცუდად გვაქვს სამედიცინო მომსახურების საქმე. აღდგენით ცენტრს ვინ ჩივის, მედიკამენტებსაც მშობლები ყიდულობენ; ცოტაოდენს ჯანმრთელობის სამინისტრო თუ მოგვაწვდის მხოლოდ. ერთი მწვავე პრობლემაც გვაწუხებს – მწვრთნელთა კვალიფიკაცია! უწინ საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში შეიძლებოდა გამოცდილების შეძენა, ცოდნის დონის ამაღლება, დღეს კი ყოველივე ამას მოკლებული ვართ. მწვრთნელთა ოსტატობის დონე თითქმის უცვლელი დარჩა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ამ დღეებში ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა კალათბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი იუგოსლაველი მარიან ნოვაჩიჩი, რომელმაც ერთკვირიანი თათბირ-სემინარები ჩაატარა ჩვენი მწვრთნელებისათვის. რაც, უდავოდ, წაგვადგება.

მესმის, რომ ქვეყანას უჭირს, მაგრამ ხვალ და ზეგ ეკონომიკურად რომ გავძლიერდებით და წელში გავიმართებით, სპორტი გვექნება? ვაკუუმის ამოვსებას, სულ მცირე, 5-10 წელიწადი მაინც დასჭირდება, მერე რომ არ მოგვიხდეს ნაგვიანევად თითზე კბენა, ახლავე უნდა მივხედოთ ბავშვთა სპორტს. მისი განვითარებისთვის სასწრაფოდ არის შესაქმნელი ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

ჩვენი საუკეთესო კალათბურთელები დღეს უცხოეთის კლუბებში თამაშობენ. ხვალ და ზეგ ეს ორმეტრიანი პატარა ბიჭებიც წავლენ – მშრალ ენთუზიაზმზე, ხახვსა და პურზე კალათბურთელს გუნდში ვერ გააჩერებ.

***– ბატონო მერაბ, თქვენ ბავშვთა საკალათბურთო ლიგის პრეზიდენტიც ბრძანდებით. აქ როგორი მდგომარეობაა?***

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იზოლაციაში აღმოვჩნდით. შეჯიბრებებზე ვერსად გავდიოდით. ვამჩნევდი, რომ კალათბურთელებსაც და მწვრთნელებსაც მობეზრდა უმიზნო ვარჯიშები. ამიტომ, მწვრთნელებთან შეთანხმებით, 1994 წლის ოქტომბერში შევქმენით ბავშვთა საკალათბურთო ლიგა. პირველად შეჯიბრებები გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და გორის 27-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. აქაც მხარში ამოგვიდგა ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია". მეხუთე წელიწადია ფირმის ხელმძღვანელობა ფინალისტებისთვის იძენს ფორმებსა და ბურთებს, მსაჯებისათვის ფორმებს (სხვათა შორის, ახალგაზრდა მსაჯები რომ მოგვემრავლდნენ კალათბურთში, ეს ბავშვთა ლიგისა და ფირმების დამსახურებაა).

წლევანდელ გათამაშებაში თბილისის, რუსთავის, გორის, ბათუმისა და აფხაზეთის 65 გუნდი (1981-82 წლებში დაბადებულების – 16 გუნდი, 1983-84 წლებში დაბადებულების – 22, 1985-86 წლებში დაბადებულების – 27) მონაწილეობდა. სამწუხაროდ, საასპარეზოდ მხოლოდ ქუთაისელები ვერ ჩამოვიდნენ.

სამივე ასაკში დამთავრდა წინასწარი შეხვედრები. სასიამოვნოა, რომ ბათუმელები, რომლებიც წლეულს პირველად ჩაებნენ შეჯიბრებაში, ორი გუნდით, რუსთაველებისა და გორელების მსგავსად, ორ ასაკობრივ ჯგუფში რვა საუკეთესოთა შორის მოხვდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის წარმომადგენელთა აქტიურობა. მათი სპორტის დეპარტამენტის (თავმჯდომარე ამირან ზუხბაია) და მწვრთნელ ვაჟა კვარაცხელიას დამსახურებაა ის, რომ აფხაზეთის კალათბურთელები თითოეულ ასაკში 2-2 გუნდით ასპარეზობენ).

მაისის ბოლოს ლიგის პირველობა დამთავრდება და სამივე ასაკში გამოვლინდება ჩემპიონები და პრიზიორები. შეჯიბრებებმა დაგვარწმუნეს, რომ საქართველოში კალათბურთი უსაზღვროდ უყვართ. თუ სახელმწიფოსაგან დახმარება იქნება, იმ 700 ბავშვიდან, რომლებიც ლიგაში არიან გაერთიანებული, ბევრი ჩინებული კალათბურთელი დადგება და 4-5 წელიწადში საქართველოში ისეთ ეროვნულ ჩემპიონატს გავმართავთ, ევროპის ბევრ საკალათბურთო ქვეყანას რომ შემურდება.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

### კრივი



## საუკეთესო მოკრივენი... მსაჯთან ერთად

რუსეთის ქალაქ სარატოვში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის. რინგზე გამოდიოდნენ: უკრაინის, ყაზახეთის, იჩქერიის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის (ქ. მოსკოვის, ვოლგოგრადის, პენზის, სამარის, სარატოვის ოლქის) და საქართველოს მოკრივეები, სულ 150 მონაწილე.

საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების სკოლის 5 თბილისელი მოკრივე.

დაძაბულ პაექრობაში პირველი ადგილები მოიპოვეს ლაშა გურაბანიძემ (45 კგ) და დავით ტაბატაძემ (57 კგ), კარგად გამოვიდა, აგრეთვე, ევროპის პრიზიორი კადეტთა შორის დავით ვეგეშიძე.

სხვადასხვა ქვეყნის 30 არბიტრთან ერთად ტურნირს მსაჯობდა ზემოხსენებული სპორტსკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი დავით ქავთარაძე, რომელიც ბაქოში მცხოვრებ ბორის ყოფიანთან ერთად აღიარებულ იქნა ამ ასპარეზობის საუკეთესო მსაჯად.

ელიზბარ
გორგაძე.

*სურათებზე: ლაშა გურაბანიძე, დავით ტაბატაძე და მსაჯი დავით ქავთარაძე.*

### იუბილე

## აქ რომ ჩემპიონები დაზრდილან...

სოფელ გლდანში, ე. წ. „თამარის ბაღში" 7 ჰექტარი უკავია საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელს, რომელიც გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის სახელით არის ცნობილი. 25 მაისს მას 40 წელი შეუსრულდა. სასწავლებელი, სადაც თავიანთი სპორტული გზა დაიწყეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა: მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურმა და ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძემ, მსოფლიოს ჩემპიონებმა – ველოსიპედისტმა ომარ ფხაკაძემ და მოჭიდავე მიხეილ სალაძემ...

სკოლის იუბილესთან დაკავშირებით სკოლის საჭიდაო დარბაზში გაიმართა გუნდური შეჯიბრების ფინალები ძიუდოსა, თავისუფალში და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. იუბილარ სპორტსკოლა-ინტერნატს რომელიც 1958 წელს პირველად სსრკ-ში გიორგი მერკვილაძემ დააარსა, 25 მაისს ეწვივნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი, გამოჩენილი ფეხბურთელი, ამ სკოლის აღზრდილი თემურ ქეცბაია, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ამ სკოლის აღზრდილი ზაზა თურმანიძე, ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში ამირან ტოტიკაშვილი, თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა, გლდანის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ომეკაშვილი, აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ამირან ზუხბაია, ამ სპორტსკოლის ყოფილი დირექტორი კაკო წერეთელი, გაზეთ „ლელოს" რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე, სკოლის ყოფილი თანამშრომლები: დამსახურებული მწვრთნელ-პედაგოგები ყარამან საბანაშვილი, ლიანა შეერილაძე, ხვთისო წიქლაური, ავთანდილ კორინთელი, გიორგი გოზალიშვილი და სხვები. შეკრებილებმა სკოლა-ინტერნატს იუბილეს მიულოცეს და ქართული სპორტის ავ-კარგზე, მის მომავალზეც ისაუბრეს.

ბესიკ გაბრიაძე.

TOSHIBA
RICOH UNIT Copier
AIKO MAGNER
Panasonic
SAMSUNG
APC
HEWLETT PACKARD
VIST
MITSUBISHI
FUJITSU

ოფიციალური დილერი

J&J

ხარისხი და კომფორტი თქვენს საქმიანობაში

- ასლგადამღები აპარატები
- კომპიუტერები და პერიფერია. უწყვეტი კვების წყაროები
- საოფისე სატელეფონო სადგურები. ფაქსები
- საბანკო აღჭურვილობა. სეიფები
- კონდიცირებისა და გათბობის სისტემები

ლესელიძის №4 93-38-04 93-38-34 სერვის ცენტრი 93-28-10

### ჭადრაკი

## „ნოკაუტ-სისტემა" საბოლოოდ ადგილს იმკვიდრებს

სლოვენიის ქალაქ ბლედში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა გაიმართა. განიხილეს მრავალი საჭირბოროტო საკითხი. გვესაუბრება ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **ანდრეი სელივანოვი:**

– საპრეზიდენტო საბჭო სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ეს გახლდათ ბოლო სხდომა ფიდეს კონგრესის წინ, რომელიც ელისტაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში (2-13 ოქტომბერი) არის დაგეგმილი.

პირველ საკითხად განვიხილეთ პრეტენდენტთა მატჩი სე ძიუნსა და გალიამოვას შორის. მანამდე გადაწყდა, რომ ეს პაექრობა ჩინეთში უნდა გამართულიყო 8-23 აგვისტოს. მასპინძლები საპრიზო ფონდად 120 ათას დოლარს გვთავაზობენ. გალიამოვამ უარი თქვა ჩინეთში თამაშზე. მე ველაპარაკე თათრეთის ხელმძღვანელობას, მაგრამ ანალოგიური პირობები ვერ წამოაყენეს. ასე რომ, მატჩი პეკინში გაიმართება, იმის მიუხედავად, რომ გალიამოვას ეს არ სურს.

***– შეხვედრის თარიღები იგივე დარჩა?***

– ჩინეთი აგვისტოში სპორტულ თამაშებს მართავს, ამიტომ გვთხოვეს მატჩის ნოემბერ-დეკემბერში გადატანა. იმის გათვალისწინებით, რომ წლეულსვე უნდა გამოვლინდეს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ქუკა პოლგართან პაექრობისას, თარიღი უცვლელი დარჩა. ამასთანავე საპრეზიდენტო საბჭომ გადაწყვიტა, ქალთა მორიგი მსოფლიო პირველობებიც „ნოკაუტ-სისტემით" გამართოს. დაწესდა საპრიზო ფონდი – 500 ათასი დოლარი.

***– მამაკაცთა ჩემპიონატზე რა მდგომარეობა გვაქვს?***

– მომდევნო მსოფლიო პირველობა წლეულს ლას-ვეგასში 3-6 დეკემბერს დაიწყება და წლის ბოლომდე დამთავრდება, და კვლავ ოლიმპიური სისტემით. ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის წინადადებით, საპრიზო ფონდი აქ სამი მილიონი დოლარი იქნება.

***– მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ხომ ჩემპიონატის ყოველწლიურად გამართვის წინააღმდეგი იყო?***

– იგი არ დაეთანხმა, აგრეთვე, იმ პრივილეგიების გაუქმებასაც, რომელიც უფლებას აძლევდა მსოფლიო ჩემპიონს, პირდაპირ ნახევარფინალში ან ფინალში ეთამაშა. ბლედში მხარი დაუჭირეს კიშინიოვში გამართული კონგრესის გადაწყვეტილებას – უმაღლესი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებმა ჩემპიონატში მეორე წრიდან იასპარეზონ. თუმცა, არ არის გამორიცხული, ელისტაში დაადგინონ ყველა მონაწილის შეჯიბრებაში პირველი ეტაპიდან ჩაბმა. ამ შემთხვევაში გამორჩეული არავინ იქნება.

***– ჭაბუკთა შეჯიბრებებზე არაფერი თქმულა?***

– ორიოდ თვეში ავსტრია ევროპის პირველობას უმასპინძლებს. დაისვა საკითხი მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, მაგრამ ჩემს თხოვნას – არ შეეზღუდათ მონაწილეთა რაოდენობა – საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

გადაწყდა, აგრეთვე, რომ გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება 2001 წელს ერევანში. აქვე მოეწყობა ჭაბუკთა 1999-2000 წლების მსოფლიო პირველობები. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატს „ნოკაუტ-სისტემით" გაისად კიშინიოვი გაუღებს კარებს. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებს 2000 წელს თურქეთი, ხოლო 2002 წელს – სლოვენია უმასპინძლებს.

მოამზადა
ეკა ბესტავაშვილმა.

უძღვება ანზორ ბასილაია.

## თურქეთის რესპუბლიკა

# პრესის ფურცლებზე

### 19 მაისი თურქეთის ეროვნული დღესასწაულია

თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების თარიღად მიჩნეულია 1919 წლის 19 მაისი, როდესაც სტამბოლიდან გამოქცეულმა მუსტაფა ქემალმა სამსუნის მიწას დაადგა ფეხი. სამსუნში ჩამოსვლის შემდეგ მუსტაფა ქემალი სათავეში ჩაუდგა ანატოლიაში გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. 19 მაისი თურქეთში აღინიშნება, როგორც ათათურქის ხსენების, ახალგაზრდობისა და სპორტის დღესასწაული. წელსაც ეს დღესასწაული თურქეთში ფართოდ აღინიშნა.

**ყველა გაზეთი, 19, 05, 98.**

### ს. დემირელი უკრაინაში

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი 3 დღიანი ვიზიტით უკრაინას ეწვია. პრეზიდენტს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი, სახელმწიფო მინისტრი აპად ანდიჯანი, ტურიზმის მინისტრი იბრაჰიმ გურდალი. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის იმპერიისაგან ჩამოშორებიდან 215 წლის შემდეგ ყირიმს პირველად ეწვია თურქეთის პრეზიდენტი.

**ყველა გაზეთი, 22, 05, 98.**

### თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი მოსკოვში

აქ გამართული მოლაპარაკებების დროს თურქეთმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია: სამხედრო თანამშრომლობა რუსეთსა და თურქეთს შორის დამყარდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ მიჰყიდის კვიპროსელ ბერძნებს S-300 ტიპის რაკეტებს.

გუშინწინ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულმა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ისმაილ ჰაკკი კარადაიმ მოინახულა ჟუკოვის სახელობის საჰაერო ბაზა და დაათვალიერა ვერტმფრენები, რომლებსაც „ნიანგი" ეწოდება. როგორც რუსი სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ ვერტმფრენებს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებათ. რუსებს სურთ, თურქეთს სამნახევარ მილიარდ დოლარად მიჰყიდონ ამ ტიპის 145 ვერტმფრენი. მაგრამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის ბედი მთლიანად დამოკიდებულია შემდეგ პირობაზე: რუსებმა კვიპროსელ ბერძნებს არ უნდა გადასცენ S-300 ტიპის რაკეტები. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქეთი დაინტერესებულია, აგრეთვე, ჯავშნიანი ტრანსპორტით, ტ-80 ტანკებით, მიგ-29 და სუ-27 საბრძოლო თვითმფრინავებით. მაგრამ პირობა აქაც იგივეა, რუსეთმა უნდა გააუქმოს ხელშეკრულება S-300 ტიპის რაკეტების შესახებ კვიპროსელ ბერძნებთან დადებული ხელშეკრულება.

**ყველა გაზეთი, 19, 05, 98.**

### მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერები თურქეთს ჰყავს

თურქეთში პენსიაში გასვლის ასაკი 38 წლამდე შემცირდა. მიუხედავად ეკონომიკური სიძნელეებისა, თურქეთმა დაიმკვიდრა ისეთი ქვეყნის სახელი, სადაც ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერები ცხოვრობენ. მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ამერიკაშიც კი ამჟამად დაიწყო კამათი, რათა საპენსიო ასაკი 65-დან 70 წლამდე გაზარდონ. თურქეთში პენსიაში გასვლის საშუალო ასაკი 50 წელია, პენსიონერთა საშუალო ასაკი – 57 წელი. პენსიონერთა შორის სიკვდილიანობის საშუალო ასაკი ქალებში 67 წელია, კაცებში – 65.

ამგვარად, პენსიონერებს საშუალოდ 25 წლის სამსახურის შემდეგ საშუალოდ 16 წელიწადს პენსია ეძლევათ და სარგებლობენ უფასო სამედიცინო მომსახურებით.

**„ჰურიეთი", 21, 05, 98.**

### კერძო სკოლებისადმი ინტერესი შემცირდა

კერძო სკოლების მოსწავლეების წარმატებებმა იკლო. კერძო სკოლებისადმი ინტერესის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი სწავლების ფასის 2 მილიარდ ლირამდე გაზრდამაც განაპირობა. კერძო სკოლებმა სახელმწიფოსაგან 1996 წლიდან 5 ტრილიონი ლირა მიიღეს. საუნივერსიტეტო გამოცდებში უფრო მაღალი შედეგები აჩვენეს მოსწავლეებმა, რომლებიც სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობენ.

**„ჰურიეთი", 21, 05, 98.**

### თავდასხმა აკინ ბირდალზე

თურქეთის ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტ აკინ ბირდალზე თავდასხმა მოაწყვეს. თავდასხმაში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს.

**ყველა გაზეთი, 23, 05, 98.**

### მაფიას ინგლისსა და გერმანიაში ყალბი პასპორტებით ლტოლვილები გადაჰყავთ

კარგად ორგანიზებულ მაფიას თურქეთიდან ინგლისსა და გერმანიაში ყალბი პასპორტების საშუალებით ლტოლვილები გადაჰყავთ. გადაყვანის საფასური 1 კაცზე 1,5 მილიონი ლირაა. გადაყვანის საქმე ერთობ კარგად არის ორგანიზებული, მიგრანტებს, რომლებსაც ფული არა აქვთ, მაფია პროცენტით ფულს ან საბანკო კრედიტს სთავაზობს.

**„იენი იუზილი", 19, 05, 98.**

### წყალდიდობა თურქეთში

წყალდიდობამ თურქეთის დასავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონს დიდი უბედურება დაატეხა თავს. კოკისპირული წვიმების გამო დიდი ტერიტორია წყლით არის დაფარული, მატერიალურ ზარალს ტრილიონობით ითვლიან. დაღუპულთა რიცხვმა შავი ზღვის რეგიონსა და სხვა ადგილებში 26-ს მიაღწია. კოკისპირულმა წვიმებმა ცხოვრების პარალიზება გამოიწვია. მრავალი დასახლებული ადგილი წყლით დაიფარა. არმიაში საგანგებო ვითარება შემოიღეს. წყლის მარწუხებში მომწყვდეულ ადამიანებს კატარღებით, თვითმფრინავებით, ვერტმფრენებით, პარაშუტებით აწვდიან დახმარებას.

პრეზიდენტმა ს. დემირელმა და პრემიერ მინისტრმა მ. ილმაზმა სტიქიით დაზარალებული რეგიონი მოინახულეს.

**ყველა გაზეთი, 22, 23, 05, 98.**

### რ. ფალიანმა ოქროს მედალი მოიპოვა

ევროპის ჩემპიონატში კრივში, რომელიც მინსკში ჩატარდა, თურქეთის გუნდმა 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე გამოვიდა. თურქეთის გუნდს ოქროს მედალი შესძინა ქართველმა სპორტსმენმა რ. ფალიანმა, რომელიც თურქეთის სახელით გამოდიოდა. რ. ფალიანმა ფინალში დაამარცხა სომეხი მეტოქე სიმონიანი და 57 კილო წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა რუსეთი (4 ოქრო, 1 ვერცხლი), II ადგილზე – უკრაინა ( 2 ოქრო, 2 ვერცხლი).

**ყველა გაზეთი, 23, 05, 98.**

**თურქულიდან თარგმნა მურმან ბელთაძემ.**

# სტუმრად კასტამონუში



შარშან „ხიდის" 24 დეკემბრის ნომერში წავიკითხე აკად. ევგენი ხარაძის წერილი „ალვადგინოთ ერთიერთობა თურქ კოლეგებთან". ამ წერილში ბატონი ევგენი ხარაძე ძალიან საინტერესოდ მოგვითხრობს ბუნების ისეთ საოცარ მოვლენაზე, როგორიცაა მზის დაბნელება. აკად. ე. ხარაძე წერს, რომ 1999 წლის 11 აგვისტოს მოხდება მზის სრული დაბნელება; ამ მოვლენაზე დაკვირვებისათვის აკად. ე. ხარაძე ყველაზე ხელსაყრელ პუნქტად მიიჩნევს კასტამონუს, სადაც მზე მთლიანად დაბნელდება 2 წუთი და 16 წამის განმავლობაში.

ასე რომ, თურქეთის პატარა და წყნარი ქალაქი კასტამონუ, რომლის არსებობა ბევრმა არც კი იცის, 1999 წლის აგვისტოში ასტრონომთა ექსპედიციებისა და ტურისტების თავშეყრის ცენტრად გადაიქცევა.

სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამიჩნდა სურვილი „ხიდის" მკითხველებს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებები კასტამონუს შესახებ, სადაც გასული წლის აგვისტოში ორი კვირით ვიმყოფებოდი.

თურქეთის რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში ქართველი სტუდენტების 6-კაციანი ჯგუფი გაგზავნა კასტამონუში თურქული კულტურისა და თურქული ენის შესწავლის სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. მეც, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, ამ ჯგუფში მოვხვდი.

17 აგვისტოს უკვე დანიშნულ ადგილს ვიყავი. როდესაც კასტამონუს გუბერნიის ფარგლებში შევედი, აღტაცებას ვერ ვფარავდი ამ მხარის ბუნების სილამაზის გამო.

ავტობუსით ორდღიანი დამღლელი მგზავრობის შემდეგ მასპინძლებმა დაგვაბინავეს საკმაოდ კომფორტაბელურ სასტუმროში. ცოტა ხნის შემდეგ გავედით ქალაქის დასათვალიერებლად. პატარა ქალაქია. მოსახლეობა 53 ათასს არ აღემატება, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ღია ცის ქვეშ გაშენებულ მუზეუმში ვიმყოფები. ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობანი ხელის გულზეა გადაშლილი და ადვილად მისაწვდომი. როგორც პატარა პროვინციულ ქალაქებს სჩვევიათ, უცხოელები მაშინვე შეგვამჩნიეს და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობისმოყვარეობის ობიექტი გავხდით. მალე ჩვენს შორის გაიმართა გულღია, უშუალო საუბრები. გვეკითხებოდნენ, საიდან ჩამოვედით და რა მიზნით.

ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ყურადღება და პატივისცემა არ მოგვკლებია. სასტუმროს, ტრანსპორტის, კვების ხარჯები თურქეთის მხარემ გაიღო, როგორც იტყვიან, „ჩიტის რძეც კი არ გვაკლდა" მივიღეთ საჩუქრებიც, რომელთა შორის ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო რვაასგვერდიანი თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ლექცია-სემინარები კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სწავლების ხელმძღვანელს ბატონ ექრემ ქოქერს. სემინარებში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ თურქმენეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები და ყირიმელი თათრები. სემინარები იწყებოდა დილით, საუზმის შემდეგ. თავისუფალ დროს ეწყობოდა ექსკურსიები, დავათვალიერეთ მხარის ღირსშესანიშნავი ადგილები და ისტორიული ძეგლები.

კასტამონუს გუბერნია მდებარეობს თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში, შავიზღვისპირა მაღალმთიან ზონაში. ტყით დაფარულ მთის ფერდობებზე გადის საავტომობილო გზა, რომელიც ადის ზეგანზე, სადაც მდებარეობს პატარა, მშვენიერი და ლამაზად გაშენებული ქალაქი კასტამონუ. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს მდინარე, რომლის მარცხენა მხარეს მოჩანს თანამედროვე, ევროპული სტილის შენობები, მარცხენა ნაპირი წარმოადგენს ძველ კასტამონუს. თვალწინ გეშლებათ საოცარი სილამაზის პანორამა.

კასტამონუ და მისი რეგიონი თურქეთში „სამოთხის კუთხედ" ითვლება და წარმოადგენს საკურორტო ზონას. თავისი სიმყუდროვით, მთების წარმტაცი პანორამით, ხასხასა მწვანე ტყის საფარით, ლამაზი ზეგნებით, 135 კილომეტრიანი ზურმუხტოვანი სანაპიროთი, სადაც მრავლად არის საუცხოო ბუნებრივი პლაჟები, დამსვენებლებს ანდამატივით იზიდავს. აქ ხშირად შეხვდებით ტურისტებს, როგორც თურქეთის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ქ. კასტამონუდან ორმოცი კილომეტრის მანძილზე ილგაზის მთებში არის სამთოსათხილამურო ბაზა, მუშაობს ბაგირგზა. საუცხოოა ილგაზის ეროვნული პარკი ტყის მდიდარი საფარით, სხვადასხვა ცხოველებითა და ლამაზი პეიზაჟებით.

კასტამონუს მხარეში შემონახულია ძველი ოსმალური ყოფა, თურქული ფოლკლორი, ოსმალური არქიტექტურა, ტრადიციული თურქული სახლი, მეურნეობის ძველი წესები. ეს კუთხე თურქეთში განთქმულია ხელით ნაქსოვი ნაწარმით. თითქმის ყოველ სახლში დგას ხელის საქსოვი დაზგა. ქსოვენ ფერადფერად სუფრებს, ათასნაირ გადასაფარებლებს, პირსახოცებს. ეს მხარე ცნობილია, აგრეთვე, სპილენძის ჭედური ნაწარმით და თოკების წარმოებით. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია ხორბალი და სიმინდი, დაბლობ ადგილებში მოჰყავთ ბრინჯი. მოჰყავთ აგრეთვე, ვაშლი, მსხალი, ნუში, თხილი და კაკალი.

ამ მხარეს გააჩნია მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი წარსული. აღსანიშნავია, რომ თურქული სუფიური პოეზიის სახელგანთქმული წარმომადგენელი იუნუს ემრე (XIII-XIV ს.) კასტამონიელი იყო. კასტამონუსთან ახლოს მდებარეობს სინოპი, ფილოსოფოს დიოგენეს სამშობლო.

კასტამონიის მხარის ძველი სახელწოდება იყო პაფლაგონია. პაფლაგონიის აღმოსავლეთით მიედინებოდა მდინარე ჰალისი, რომელსაც დღეს კიზელ ირმაკი ჰქვია. ეს ის მდინარეა, რომლის ნაპირზე თორნიკე ერისთავმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსის ჯარები.

ანატოლიაში თურქ-სელჯუკების გამოჩენის შემდეგ პაფლაგონია სელჯუკების ხელში აღმოჩნდა. მოგვიანებით იგი დაიპყრეს დანიშმენდებმა. 1291 წლიდან კასტამონიის მფლობელები გახდნენ ჯანდარის დინასტიის წარმომადგენლები. თემურლენგის შემოსევების შემდეგ ქ. კასტამონუ ისფანდიართა დინასტიის მიერ შექმნილი პატარა საფეოდალოს ცენტრი გახდა. 1454 წელს სულთან მეჰმედ ფათიჰმა კასტამონუ ისფანდიარებს წაართვა და ოსმალეთის იმპერიას შეუერთა.

კასტამონუ მდიდარია ისტორიული ძეგლებით. სოფელ კასაბაში შემონახულია მე-14 საუკუნის მეჩეთი, რომელიც ხის მხატვრული დამუშავების ნიმუშს წარმოადგენს. კასტამონუს მუზეუმი მოთავსებულია შენობაში, სადაც 1925 წლის აგვისტოში მუსტაფა ქემალმა გამოაცხადა თანამედროვე ევროპული ტანსაცმლის შემოღების კამპანია. მუზეუმში გამოფენილია ათათურქის კასტამონუში ყოფნასთან დაკავშირებული მასალები, აგრეთვე, კასტამონუს ისტორიისა და კულტურის ამსახველი ექსპონატები.

კასტამონუში ყოფნის პერიოდში ჯგუფის წევრები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით ჩვენი მასპინძლების ყურადღებასა და კეთილგანწყობას.

დაბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო თურქეთის საელჩოს საქართველოში და ჩვენს კასტამონიელ მასპინძლებს ყურადღებისა და გულთბილი მიღებისათვის.

**გიორგი ბელთაძე,**
**სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

მზე შინა და,

მშვიდობა ყოველთა

# XXI საუკუნის მოქალაქეები

(მე-5 გვერდიდან)






ასე გასინჯეთ, თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი ქართველ ბავშვებს თავად შეხვდა.

**წლეულს**, მარტში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი **მესუთ ილმაზი** მეუღლესთან ერთად. ქალბატონი **ბერნა ილმაზი** საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტს, ქალბატონ **ნანული შევარდნაძეს** ოფისში ესტუმრა. როცა შეიტყო, ჩვენი პრეზიდენტი, როგორ ზრუნავს ბავშვებზე, ლტოლვილ მოზარდებზე, თავისი ვაჟიშვილის ჰასან ილმაზის სახელით ქართველი ბავშვები თავის ქვეყანაში მიიპატიჟა.

21 აპრილს თურქეთში გაემგზავრა 10-15 წლის 20 მოზარდი. მათ შორის იყვნენ: სოხუმის საყმაწვილო თეატრ-სტუდიის „თეთრი ტალღის“ ნორჩი მსახიობები და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „თერგის“ მოცეკვავეები, კლასიკური და ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლები.

ეს ფოტორეპორტაჟი სწორედ ამ მოგზაურობის შესახებ მოგითხრობთ.

თურქი თანატოლების მასპინძლობით აღფრთოვანებული ბავშვები რას არ ჰყვებიან. დიდი სიამოვნებით იგონებენ სტამბოლსა და ანკარაში გატარებულ იმ ოთხ დღეს...



პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

ქართველ თანატოლებს სტამბოლის აეროპორტში ჰასან ილმაზი დახვდა და გამომგზავრებამდე არც მოშორებია. სტუმრები ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმრო „ფოლათ რენესანსში“ დააბინავა. მასპინძელიც მათთან ერთად ცხოვრობდა. სტუმრებმა მოინახულეს დოლმაბახჩეს სასახლე და აია-სოფიას ტაძარი.

სტამბოლის ზეითუნბურნიეს რაიონის მერმა ბავშვები იმ ფაბრიკაში წაიყვანა, სადაც ჯინსებს კერავენ, ბავშვებს ხომ ძალიან უყვართ ჯინსები. ჰოდა მერმა დაასაჩუქრა კიდეც...

ქართველი ბავშვები ერთ-ერთ სკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილს დაესწრნენ. თურქ თანატოლებს ისე თბილად, ისეთი კეთილგანწყობით მიუღიათ, თურმე ენობრივ ბარიერსაც არად დაგიდევდნენ.

ინგლისური ენის ცოდნა ორივე მხარეს გამოადგა, თუმცა თურქეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი უწევდა თარჯიმნობას.

ქართველი ბავშვების ცეკვებს და სიმღერებს ძალიან მოუხიბლავს მასპინძლები, გიგი გეგელაშვილს თურქულად უმღერია, ლაშა მაისურაძესა და სოფიკო აბულაძეს სახელდახელოდ უსწავლებიათ მათთვის ქართული ცეკვის ილეთები. ჰასან ილმაზს ძალიან მოსწონებია ქართული ჩოხა-ახალუხი.

თურქეთში მხოლოდ გამორჩეულ სტუმრებს ხვდებიან ასე. ქართველი ბავ-



თანატოლები მალე დამეგობრდნენ.



ფერხულიც გააჩაღეს.

ისტორია

# შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი დასაწყისი

## საქართველო — თურქეთის პირველი სრულმასშტაბიანი ხელშეკრულების ხუთი წელი

### 4. თურქეთი და აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი

საქართველო — თურქეთის ხელშეკრულების პრეამბულაში აღიარებული და მოწონებულია ორივე ქვეყნის სუვერენული სტატუსი, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. უფრო მეტიც, ხელშეკრულების მეცამეტე მუხლში აღინიშნა, რომ „მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვან ისეთ ორგანიზაციათა, დაჯგუფებათა თუ პიროვნებათა მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლას".

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ თურქეთის ხელისუფლება ყოველთვის ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, როდესაც აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი დაწყებული არ იყო, როცა იგი მიმდინარეობდა და მაშინაც, როცა საომარი მოქმედებები შეწყდა.

თემის ობიექტური გაშუქების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ, ძალიან სქემატურად შევახსენოთ მკითხველს აფხაზური სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზები, რაც თავისთავად ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა.

თავდაპირველად, აფხაზეთის მოვლენების სახელწოდების შესახებ. ამ მოვლენების გამომწვევ მიზეზებზე, მსვლელობასა და შედეგებზე ბევრი დაიწერა და ითქვა საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში, ცალკეულ ნაშრომებში, პარლამენტართა გამოსვლებსა და მონაწილეთა მოგონებებში, გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის მასალები და ა. შ.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს უმრავლესობა ქართველ-აფხაზთა ომს, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს უწოდებს, რაც მცდარი და მიუღებელია. დადასტურებულია, რომ ეს იყო ერთი ქვეყნის ფარგლებში სეპარატისტული, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ამბოხება საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. უფრო მისაღებია მას **აფხაზეთის კონფლიქტი** ეწოდოს, ხოლო უფრო ზუსტად — **შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში.**

აფხაზეთში ვითარება ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში გამწვავდა, ხოლო 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოკიდებული, როგორც წესი, იქ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ იფეთქებდა ხოლმე სხვადასხვა საბაბით გამოწვეული, ზემოდან მართვადი სეპარატისტული გამოსვლები, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო — ან დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ან რსფსრ-ის კრასნოდარის მხარესთან მისი მიერთება.

პირველ ასეთ, შედარებით სუსტ სეპარატისტულ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1957 წელს. გამოსვლის საბაბი გახდა ის, რომ ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ თავის წიგნში „გიორგი მერჩულე — მეათე საუკუნის ქართველი მწერალი" (1954 წ.), თავისი აზრი გამოთქვა აფხაზი ერის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

სეპარატისტული გამოსვლები გაძლიერდა 1967 წელს. ამჯერად მისი საბაბი გახდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სტატია „მცირე შენიშვნა დიდ საკითხებზე", რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა.

1978 წელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვის პერიოდში, აფხაზმა სეპარატისტებმა მოითხოვეს, რომ კონსტიტუციაში შეეტანათ პუნქტი თვითგამორკვევისა და აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის უფლების შესახებ.

აფხაზმა სეპარატისტებმა უფრო რადიკალური მოთხოვნები დააყენეს 1988 წელს ე. წ. „აფხაზურ წერილში", რომელშიც ცენტრალური ხელისუფლებისადმი (მოსკოვისადმი) დაქვემდებარებას მოითხოვდნენ. წერილი XIX საკავშირო პარტკონფერენციას გაუგზავნეს. იგი თავისი შინაარსით ქართველი ხალხის, საქართველოს წინააღმდეგ მეთხზული დოკუმენტი იყო, რომელსაც აფხაზეთსა და თბილისში მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები მოჰყვა.

ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდში, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის წინსვლა-განვითარებისათვის, არაიშვიათად დათმობებზეც კი მიდიოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და შემდეგ სსრ კავშირის დაშლამ მკვეთრად შეცვალა ვითარება აფხაზეთშიც. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას არ ეყო შორსმჭვრეტელობა და, თუ გნებავთ, პრინციპულობაც, გაეთვალისწინებინა აფხაზური სეპარატიზმის შორსმიმავალი გეგმები. საქართველოს პარლამენტი დაეთანხმა ვლადისლავ არძინბას მოთხოვნას აფხაზეთში საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ახალი კანონის მიხედვით საარჩევნო ოლქებისა და დეპუტატთა კორპუსის ფორმირების დროს უპირატესობა ენიჭებოდათ აფხაზი ეროვნების კადრებს.

შედეგმაც არ დააყოვნა.

არჩევნების შედეგად აფხაზი მოსახლეობის 18 პროცენტზე 28 დეპუტატი აირჩიეს, ქართველი მოსახლეობის 46 პროცენტზე მხოლოდ 26, ხოლო დანარჩენ ეროვნებებზე, რომლებიც მოსახლეობის 36 პროცენტს შეადგენენ — 11 დეპუტატი.

აფასებდა რა ამ ფაქტს, ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავდა: „1991 წლის 9 ივლისის საარჩევნო კანონი მთლიანად უარყოფს თანამედროვე პარლამენტარიზმის ნორმებსა და პრაქტიკას. რა არის ეს, თუ არა აპარტეიდი დე იურე? ეს არის უმცირესობის მისწრაფება — უკარნახოს თავისი ნება-სურვილი უმრავლესობას და წინასწარ, პროვოკაციულად მოამზადოს შეჯახება ეროვნებათა შორის. ეროვნულობის მიხედვით ადამიანის უფლებების შეზღუდვამ, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ, აგრეთვე რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნული უმცირესობანი აშკარად ჩააყენა არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში და მიიღო რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა ეთნოდიქტატურის დამყარების აშკარად გამოხატული მისწრაფებით".

სოხუმში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ავთანდილ იოსელიანი, იმ დროს აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე: „აპრილში (1992 წ.) ქართულ დრამატულ თეატრში გაიმართა ზვიადისტების შეკრება, დაგმეს თბილისში მოსული სიგუა-კიტოვანის მთავრობა, შემდეგ მოითხოვეს აფხაზეთის პარლამენტის დაშლა და გვარდიის გაუქმება... ვლადისლავ არძინბა აპირებდა თბილისში ედუარდ შევარდნაძესთან ჩამოსვლას... მეორე დილით თბილისიდან ველოდით სპეციალურ თვითმფრინავს, მაგრამ არძინბას თქმით, მასთან მივიდნენ ზვიადისტები და უთხრეს: თბილისში შენც იმას გიზამენ, რაც 30-იან წლებში ნესტორ ლაკობას უყვესო. ეს იყო მიზეზი შეხვედრის ჩაშლისა... ახლაც მჯერა, მაშინ რომ არძინბა ბატონ ედუარდს შეხვედროდა, ის ავადსახსენებელი ომი არ დაიწყებოდა".

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ექსპრეზიდენტის მომხრეთა პოზიციაზე, მათ ორმაგ თამაშზე, რაც, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

როგორც საქართველოს პროკურატურის მასალებიდან გამოირკვა, ასეთივე ორმაგ თამაშს ეწეოდა წინა პარლამენტის ზოგიერთი წევრიც.

აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებსაც ზურგს რუსეთის გარკვეული ძალები უმაგრებდნენ, პარლამენტარიზმის ნორმების უხეში დარღვევით, ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მეშვეობით მიიღეს მათთვის სასურველი დადგენილებები აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, აგრეთვე მილიციის უმაღლესი საბჭოსადმი დაქვემდებარების შესახებ, მოახდინეს ხელმძღვანელი კადრების შეცვლა, ზოგჯერ ძალისმიერი მეთოდითაც კი.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის პირველი სესიის მორიგ სხდომაზე კვორუმის დარღვევით მიღებული იქნა უკანონო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ", რომლის მიხედვით აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად ითვლებოდა და საქართველოსთან მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე იყო გაერთიანებული. (საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთის ეს „დამოუკიდებლობა" მხოლოდ ფორმალური იყო).

25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ არაკანონიერად ცნო აფხაზეთის პარლამენტის 23 ივლისის დადგენილება. გარდა ამისა, 28-30 ივლისს საპარლამენტო ფრაქციამ „დემოკრატიული აფხაზეთი", რომელმაც უფრო ადრე, 23 ივლისს დემონსტრაციულად დატოვა სესიის სხდომა, სოხუმში საზოგადოებრიობის მონაწილეობით ჩაატარა გაფართოებული სხდომა (მას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის მნიშვნელობა მიენიჭა). სხდომამ 23 ივლისის ყველა აქტი უკანონოდ გამოაცხადა.

შექმნილ რთულ ვითარებაში ვლადისლავ არძინბასა და მის თანამოაზრეებს მხარდაჭერა სჭირდებოდათ. აამუშავეს რა იდეოლოგიური მანქანა, ისინი ცდილობდნენ ახალი მოკავშირეები გაეჩინათ ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთში, სხვა ქვეყნებში.

მათ ივლისში, თურქულ ენაზე გამოსცეს გაზეთი (ბიულეტენი) „აბჰაზია". მასში ფაქტობრივად განმეორებულია 1988 წლის „აფხაზური წერილის" ავტორთა მონაჩმახი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორია საქართველო არ არის.

გაზეთი „აბჰაზია" სთავაზობდა თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს და თურქეთის სხვა მოქალაქეებს ჩასულიყვნენ აფხაზეთში, დასახლებულიყვნენ იქ, დარაზმულიყვნენ ქართველების წინააღმდეგ და აფხაზების მეთაურობით შეექმნათ აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მანამდე, 1992 წლის მარტში, სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში უკანონოდ, მუდმივად ცხოვრების ნება დართეს სირიიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 100-ზე მეტ პირს.

„აბჰაზია" არც მალავდა აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ და მექარამეც გადადიოდა: „აფხაზეთის არმიას ჩახმახი ფეხზე აქვს შეყენებული", „ქართულ ექსპანსიას — არა", „საქართველოს იმპერიალისტურ აგრესიას — არა".

საგულისხმოა, რომ ასეთი აგრესიული მოწოდებები „აბჰაზიას" ფურცლებზე იბეჭდებოდა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე.

ვლ. არძინბა ოფიციალურ მხარდაჭერას ეძებს. ამ მიზნით იგი 24 ივლისს, სასწრაფოდ თურქეთში გაემგზავრა. აქ მან თვის ბოლომდე დაჰყო, იყო ანკარაში, სტამბოლში და ადაფაზარში. მარცხით დამთავრდა მისი ცდა თურქეთს ეცნო „აფხაზეთის დამოუკიდებლობა". აფხაზეთის პარლამენტის დადგენილება არ ცნეს არც რუსეთმა და არც სნგ-ს ქვეყნებმა.

უფრო მეტიც, 30 ივლისს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. ხელი მოეწერა საქართველო — თურქეთის პირველ სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც თურქეთმა ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვევობა.

ვლ. არძინბას სხვა გზა არ ჰქონდა: ან უარი უნდა ეთქვა ჩანაფიქრის განხორციელებაზე, ან ომის გზით მოეპოვებინა „აფხაზეთის დამოუკიდებლობა". რუსეთის გარკვეული ძალების კარნახით მან მეორე გზა აირჩია.

1992 წლის თებერვლიდან აგვისტომდე აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მიმოსვლა. საქართველო და სომხეთი ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში ერთადერთი ქვეყანა, საიდანაც რაიმე შემოგვქონდა, თურქეთი იყო. კელასური — დრანდის, ტამიშ— ოჩამჩირის, დრანდა — აძიუბას, ცაცხვი — ინგირის, ინგირი — ზუგდიდის მონაკვეთზე სარკინიგზო ხიდებისა და გზების აფეთქება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1992 წლის იანვრიდან 14 აგვისტომდე სამეგრელოში ათი, ხოლო აფხაზეთში ცამეტი დივერსია განხორციელდა. სამეგრელოსა და აფხაზეთში შეიარაღებული თავდასხმების შედეგად ბანდიტებმა გაიტაცეს საქა[...] რთველოსა და სომხეთის რესპუბლი[...] კებისათვის განკუთვნილი დაახლო[...] ებით 12 მილიარდი მანეთის (იმდრო[...] ინდელი კურსით) 1923 ვაგონი ტვირ[...]

ტერორისტთა და დივერსანტთა ბა[...] ნდები ხელყოფდნენ მშვიდობიანი მო[...] სახლეობის, თანამდებობის პირთა სი[...] ცოცხლესა და ჯანმრთელობას, გა[...] მირდა სახელმწიფო ხელისუფლებ[...] წარმომადგენელთა დატყვევება და აფ[...] ხაზეთში გადამალვა.

1992 წლის 10 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ იმსჯელა ტრანსპორტზე შე[...] ქმნილი მძიმე ვითარების თაობაზე.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილე[...] ბით თავდაცვის მინისტრს თენგიზ კი[...] ტოვანს დაევალა უზრუნველეყო უს[...] ფრთხო მოძრაობა რკინიგზაზე, არ[...] ვითარ შემთხვევაში კონტაქტში არ [...] შესულიყო მოსახლეობასთან, ჩვენ[...] შეიარაღებული ძალების ნაწილები არ [...] შეეყვანა დასახლებულ პუნქტებში, სო[...] ფლებში, განსაკუთრებით — ქალაქე[...] ბში. სავსებით კონკრეტუ[...] მარშრუტით უნდა ემოძრავა[...] ლესელიძემდე და შემდეგ იქიდა[...] მოყოლებული — უზრუნველეყო[...] რკინიგზაზე მოძრაობის უსაფრთხო[...]

საბჭოს სხდომის სტენოგრაფიულ ან[...] გარიშში ვკითხულობთ:

„ედუარდ შევარდნაძე:... „საქართვე[...] ლესელიძედან სამტრედიამდე 2-3 ბა[...] ნაკი მოეწყოს. ერთ-ერთი ბანაკი უნ[...] იყოს ლესელიძეში: არც ერთი მა[...] წარმომადგენელი არ შევა ქალაქში[...] სოფლებში... ყველა ეს ბანაკი ქალა[...] ქიდან იზოლირებული იქნება. ქალა[...] ქებსა და სოფლებში წესრიგის დაპ[...] ცავად რჩება ადგილობრივი მილიცი[...] ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებში, სოფ[...] ლებში, საზოგადოებრივი თავშეყრი[...] ადგილებში სამხედრო ნაწილები გა[...] მოყენებული არ იქნება და ისინი უშ[...] ალო კონტაქტში მოსახლეობასთან არ [...] შევლენ... გაძლიერდება ხიდების, გ[...] დასასელელების დაცვა და მთელი ა[...] ინფრასტრუქტურისა, რომელიც და[...] ვშირებულია რკინიგზის მოძრაობა[...] სთან".

საინტერესო ცნობას გვაწვდის ა[...] პერიოდში სოხუმში მყოფი აფხაზეთი[...] უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მო[...] ადგილე თამაზ ნადარეიშვილი. „არ[...] ძინბამ პარლამენტში გამოაცხადა, რო[...] ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას საქა[...] რთველოს ხელისუფლებასთან, ჯარ[...] შემოვა, მას შეუერთდება ჩვენი, აფ[...] ხაზეთის ქვედანაყოფები და ისინი ერ[...] თობლივად გააკონტროლებენ სიტუ[...] აციას", — აღნიშნავს იგი.

1996 წლის 18 აგვისტოს რადიოინ[...] ტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ გა[...] ნაცხადა: „სამწუხაროდ, ჩვენმა, „სა[...] ხელოვანმა სარდალმა" არ შეასრუ[...] ლა ამ აქციის მთავარი ჩანაფიქრი. მა[...] შემდეგ, რაც სისხლი დაიღვარა, ო[...] მცდელობა საომარი მოქმედების შ[...] წყვეტისა. ასე სურდათ სალად მოაზ[...] როვნე ქართველებსაც, აფხაზებსაც, ს[...] ვათა შორის, ასე სურდა რუსეთის ხე[...] ლმძღვანელობასაც. მაშინ რამდენჯე[...] რმე იყო საუბარი ბორის ელცინთან[...] სამწუხაროდ, აქაც „სარდლობის" დ[...] უმორჩილებლობამ და პარტიზანულ[...] მენტალიტეტმა იჩინა თავი".

თენგიზ კიტოვანმა არ შეასრულ[...] რა სახელმწიფო საბჭოს დავალება [...] პირადად ჩასულიყო ელ. არძინბასთა[...] რომელსაც ელაპარაკა სახელმწიფო[...] საბჭოს თავმჯდომარე, შეეთანხმებ[...] დისლოკაციის ადგილები და მოძრა[...] ობის მარშრუტი, თვითნებურად გა[...] ემგზავრა აფხაზეთისაკენ, 14 აგვისტ[...] ოხურეასთან მოხდა შეიარაღებუ[...] შეტაკების პროვოცირება, დაიღვა[...] სისხლი. ცოტა ხნის შემდეგ კი თენგიზ[...] კიტოვანის ბრძანებით ჩვენი შეიარა[...] ღებული ძალები სოხუმში შევიდნ[...]

ამით კარგად ისარგებლეს არძინბა[...] თანამზრახველებმა, მათ სოხუმი და[...] ტოვეს, ქართული ჯარი პროვოკაცი[...] აზე წამოაგეს, საქართველო შეიარა[...] ღებულ კონფლიქტში ჩაითრიეს, ქა[...] რთველები კი ოკუპანტებად მონათლ[...] ამ შეიარაღებულ კონფლიქტში მათ [...] მხარეში ედგნენ კავკასიის მთიელ ხა[...] ლხთა კონფედერაციის „ბოევიკები" [...] და სხვადასხვა ქვეყნების პროფესი[...] ონალი მოხალისეები.

**აბესალომ იმედაშვილი**

(გაგრძელება იქნება).



პირველი ხელშეკრულების ხელმოწერა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №№ 261, 303, 321 (1997), №23,46,73 (1998), დამატება „ხიდი" №9-15.

# ხიდი KÖPRÜ

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 16 (67)


## გვილოცავენ

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურებისაგან მიიღო უამრავი მოლოცვის წერილი და დეპეშა. საქართველოს პრეზიდენტს საუკეთესო სურვილებით მომართავენ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები.

საქართველოს პრეზიდენტს დღესასწაული გულთბილად მიულოცა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა.

Sayın Cumhurbaşkanı,
Aziz Kardeşim

Kardeş Gürcistan'ın Milli Günü'nü şahsım ve Türk Milleti adına en içten duygularımla kutluyorum.

Bağımsızlığını kazanmasından bu yana kısa bir süre geçmiş olmasına ve karşı karşıya kaldığı tüm çetin koşullara rağmen, kardeş Gürcistan'ın uluslararası toplum içinde hakettiği şerefli yeri almış olmasından büyük memnuniyet duymaktayız.

Gürcistan'ın bağımsızlığının pekiştirilmesi, demokrasiye ve hukukun üstünlüğüne dayalı bir devletin kurulması için sarfedilen gayretleri ve alınan başarılı sonuçları takdirle izlemekteyiz. Gürcistan'ın bu politikalarının başarıya ulaşmasında dirayetli ve tecrübeli idarenizin katkısı kuşkusuz büyüktür.

Türkiye, Gürcistan'ın bağımsızlığına ve dostluğuna büyük önem vermektedir. Türk ve Gürcü halklarının tarihten kaynaklanan dostluk bağlarını iki ülke arasındaki ilişkilerin parlak geleceğinin en büyük teminatı olarak değerlendirmekteyiz.

Gürcistan'ın bugüne kadar başarıyla sürdürdüğü gelişmesini her alanda devam ettireceğine inancımız tamdır. Türkiye, Gürcistan'ın bu gayretlerine geçmişte olduğu gibi gelecekte de azami desteği sağlayacaktır. Türkiye, bu amaçla, Gürcistan ile mevcut işbirliğini daha da derinleştirmek için gerekli kararlılığa sahiptir.

Bu vesileyle, Zat-ı Alilerinin şahsi sağlık ve mutluluğu ile kardeş Gürcistan halkının refahı ve huzuru için en iyi dileklerimi sunarım.

Süleyman Demirel
Türkiye Cumhuriyeti
Cumhurbaşkanı"

## კონტაქტები

# ზურაბ ჟვანიას ვიზიტი თურქეთში

ოთხშაბათს 20 მაისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვია.

იგი შეხვდა თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარეს ჰიქმეთ ჩეთინს და მეჯლისის წევრებს.

ბატონები ზურაბ ჟვანია და ჰიქმეთ ჩეთინი ერთად შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გვირგვინით შეამკო მუსტაფა ქემალ ათათურქის მავზოლეუმი, შეხვდა მეჯლისის საქართველოსთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის წევრებს, რომელთა შორის ბევრი წარმოშობით ქართველია.

ზურაბ ჟვანიამ თურქეთის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში მოიპატიჟა.



გალის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა ვიზიტი.

## ჩვენი სტუმარი




1-17 მაისს გაზეთში „მშვიდობა ყოველთა", რომელიც საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გამოცემა გახლავთ, დაიბეჭდა საინტერესო ფოტორეპორტაჟი ქართველი ბავშვების თურქეთში მოგზაურობის შესახებ.

გაზეთის რედაქციამ ნება დაგვრთო გადმოგვებეჭდა ეს მასალა და თან დამატებით სურათებიც მოგვაწოდა, რისთვისაც მოკრძალებულ, გულითად მადლობას მოვახსენებთ.

გთავაზობთ ამ ფოტორეპორტაჟს.

იხ. მე - 8-9 გვ.

## შეხვედრა ელჩთან

# მიზანი-მეგობრობა



ამა წლის 7 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა ბურაქ გიურსელმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ბურაქ გიურსელი დაიბადა სტამბოლში 1945 წელს. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აგრეთვე შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი.

ბატონი ბურაქ გიურსელი პროფესიონალი დიპლომატია.

1973 წლიდან მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო 1975 წლიდან დიპლომატიურ სამსახურშია კანბერაში, რომში, ვაშინგტონში და სხვ.

1992 წლიდან კვლავ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. 1995 წლიდან იყო სამინისტროს პოლიტიკური დაგეგმვის მთავარი სამმართველოს გენერალური დირექტორის მოადგილე.

**– თქვენო აღმატებულებავ, პატივი გვაქვს მოგესალმოთ ქართულ-თურქულენოვან გაზეთ „ხიდის" რედაქციის სახელით, მოგილოცოთ ახალ, საპატიო თანამდებობაზე დანიშვნა და გისურვოთ ნაყოფიერი საქმიანობა.**

– დიდ მადლობას მოგახსენებთ.

**– ბატონო ელჩო, თქვენ უკვე შეუდექით მოვალეობის შესრულებას. როგორია თქვენი უახლოესი გეგმები საქართველო-თურქეთის უკვე დამკვიდრებული საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით?**

– თურქეთსა და საქართველოს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა.

სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა 70 წლის განმავლობაში არ იყო ისეთი, როგორც ეს შეეფერება მეზობელ ქვეყნებს. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნის შემდეგ ვითარება შეიცვალა და თურქეთსა და საქართველოს შორის დამყარდა კეთილმეზობლური, ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთობა, რაც აისახა 1992 წელს ორ ქვეყანას შორის დადებულ სრულმასშტაბიან ხელშეკრულებაში. თურქეთი თავიდანვე დადებითად მოეკიდა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას და ყოველნაირად უწყობს ხელს დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას. ჩვენი ქვეყანა ამ პოზიციის ერთგულია.

თურქეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კავკასიაში მშვიდობა, სამწუხაროდ, კავკასიაში პრობლემები საკმარისია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეთნოკონფლიქტები. ასეთი პრობლემა არის აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბახის საკითხის გამო. პრობლემა აქვს საქართველოსაც. თურქეთის მიზანია, რომ ეს პრობლემები გადაიჭრას მშვიდობიანი გზით ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვით.

თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოების დიდი პოტენციალი არსებობს, შესაძლებელია დიდი პროექტების რეალიზაცია, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ საქართველოს გავლით ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ყარსი-თბილისის რკინიგზის მშენებლობები, ბათუმის აეროპორტის მოდერნიზაცია და სხვ.

საჭიროა კიდევ უფრო გავაღრმავოთ თანამშრომლობა კულტურის, განათლების, მეცნიერების სფეროში, გვაქვს თანამშრომლობა სამხედრო დარგშიც. მე ყველა ღონეს ვიხმარ, არ მოვაკლო ყურადღება ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება-განვითარებას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ის კეთილგანწყობილება, რომელსაც აქ ვხვდები. საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები ყოველთვის მზად არიან საჭირო შემთხვევებში გამომიწოდონ დახმარების ხელი. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი პრეზიდენტების, ბატონ სულეიმან დემირელისა და ბატონ ედუარდ შევარდნაძის მეგობრობის შედეგია. თვალნათლივ ჩანს, რომ მათმა დიდმა მეგობრობამ, უფრო ფართო საზოგადოებრივ სფეროში მოიკიდა ფეხი.

**– დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის მოიცალეთ, მომავალში კვლავ შეგაწუხებთ.**

– გმადლობთ, კმაყოფილი ვარ თქვენთან შეხვედრით, ყოველთვის სიამოვნებით შეგხვდებით.

ესაუბრნენ
**მურმან ბელთაძე,**
**აბესალომ იმედაშვილი.**

# მზე გარეთა

## ბავშვებო, გეუცნაურათ თქვენთვის განკუთვნილი ფოტორეპორტაჟი, არა? ყველაფერს აგიხსნით



ყვავილებით შეამკეს ათათურქის მავზოლეუმი.



მიღება საქართველოს საელჩოში.

შვების სტუმრობა თურქეთის პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბოსფორის სანაპიროზე – ლაზურ რესტორანში ლაზურ მელოდიებში ნაცნობი რიტმები და ლაზურ კერძებში ქართული სურნელი შეუნიშნავთ და ვახშამიც უფრო მხიარული გამოსულა.

სტამბოლიდან სტუმრები ანკარაში ჩავიდნენ და წარმოიდგინეთ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა თავად მიიღო.

ანკარაში, საქართველოს საელჩოშიც მხიარული სალამო მოუწყვიათ ჩვენი ნორჩი წარგზავნილებისათვის.

სტუმარ-მასპინძელთა სიხარულს საერთო ზეიმიც დაემატა: 23 აპრილი თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის დაარსების დღეა. სწორედ ამ დროს თურქეთში ყოველწლიურად ტარდება ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი. ჰოდა, ქვეყანა უამრავ სტუმარს – სხვადასხვა ქვეყნის ბავშვებს მასპინძლობდა. ფესტივალში თბილისის ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

ბავშვებმა მოინახულეს და ყვავილებით შეამკეს ათათურქის საფლავი.

ანკარის ზოოპარკი თურმე ძალიან ლამაზი ყოფილა. ზოომუზეუმში ბავშვებს დინოზავრის ჩონჩხიც კი უნახავთ.

ამ ამბების მოყოლას ერთმანეთს არ აცლიდნენ „თეთრი ტალღის“ ნორჩი მსახიობები და მადლობას უხდიდნენ ჩვენს საზოგადოებას და ქალბატონ ნანულის იმ მშვენიერი დღეებისათვის, თურქეთში რომ გაატარეს.

ძალიან მოუწყენია ჰასან ილმაზს, ქართველი მეგობრები აეროპორტში რომ გამოუცილებია. ჩვენებს ჰასანი თბილისში დაუპატიჟნიათ. ჩამოვა თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მათ ასაკში დაწყებული მეგობრობა სამომავლოდ სასიკეთო ნერგი რომ არის, ეს უეჭველია.



ერთობლივ გაკვეთილზე.




ჯინსების ფაბრიკაში.

ეს ბავშვები 21-ე საუკუნის მოქალაქენი არიან. ისინი გააგრძელებენ საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლობას და ურთიერთთანამშრომლობას, გაიხსენებენ თურქეთში გატარებულ დღეებს და, როგორც ჩვენ გვიყვარს ხოლმე ეგზიუპერის სიტყვების გამეორება, ისინიც იტყვიან — „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“.




მაღაზიის დათვალიერების შემდეგ.

## თარგმანი



Miheil Kvlividze

Tanınmış Gürcü şair Miheil Kvlividze 1925'te Tiflis'te doğmuştu. 25 yaşındayiken Moskova'ya göçüp 32 yil içinde orada oturuyordu.

1982'de doğup büyüdüğü Tiflis'e dönüp edebiyat hayatına etkin bir biçimde katıldı.

M Kvlividze'nin birkaç şiir kitabı hem Gürcistan'da hem de ülke dışında yayımlanmıştır. Aynı zaman M. Kvlividze tercüme faaliyetini de yapıyor.

1995'te Gürcistan'da Miheil Kvlividze'nin yetmişinci doğum yıldönümü geniş bir biçimde kutlandı.

# მიხეილ ქვლივიძე

ცნობილი ქართველი პოეტი მიხეილ ქვლივიძე დაიბადა თბილისში, 1925 წელს. 25 წლის ასაკში მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 32 წელიწადი ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, მას კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან, ქართულ პოეზიასთან და მშობლიურ ენაზე წერდა და აქვეყნებდა შესანიშნავ ლექსებს.

1982 წელს იგი კვლავ საქართველოს, თბილისს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაება სალიტერატურო ცხოვრებაში.

მიხეილ ქვლივიძეს გამოცემული აქვს ლექსების ათზე მეტი კრებული, რამდენიმე მონოგრაფია. მათ შორის საზღვარგარეთაც. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, იტალიურ, პოლონურ, უნგრულ, თურქულ და სხვა ენებზე. იგი ჩინებული მთარგმნელი და რედაქტორიცაა. არის პოლონეთისა და უნგრეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

1975 წელს ქართველმა საზოგადოებამ, მიხეილ ქვლივიძის საზღვარგარეთელმა მეგობრებმა პოეტის დაბადების 70 წელი აღნიშნეს.

**Miheil Kvlividze** (მიხეილ ქვლივიძე)

Binbir derdin ardına düşmekten yorgun,
yetişemedim
En son trenimdin benim kaçırdım seni
Ve yapayalnız kaldım şimdi merada yanan
çoban ateşi gibi
Ve bana düşen tek şey gelen geçenle paylaşmak
Yüreğimin sımsıcak aydınlığını…

ათას საზრუნავს აყოლილმა უგნურმა მგზავრმა
ჩემს უკანასკნელ მატარებელს ვერ მოუსწარი
და დავრჩი მარტო, ვით მინდორში მეცხვარის
ცეცხლი,
და ახლა ისღა დარჩენია, გამვლელ
გამომვლელს
გავუნაწილო ჩემი გულის სითბო და შუქი...

(Çeviren: Hasan ÇELİK)

# გიორგი შავგულიძის ხსოვნას

რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც —
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.
ჩვენ მას შორიდან ვიცნობდით მხოლოდ,
ვნატრობდით მასთან ქუჩაში გავლას,
მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს —
კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს.
მისი დაკარგვის მწარეა განცდა,
(ვერ ამოვავსებთ ცარიელ ალაგს),
რადგან ვერც ერთი ვერ მოვალთ მასთან —
კაცთან, რომელიც დააკლდა ქალაქს.
და ეხლა, როცა სუფრაზე, სადმე,
თვალს მოვკრავთ ღიმილს, ნაცნობს და ალალს,
წარმოგვიდგება ძვირფასი სახე,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...
და თითქოს ვითვლით — ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს,
და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო, გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!

## ღიმილის დოზა



— ალო! მობილური ტელეფონით მელაპარაკები?
— არა, ძმობილურით.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

## იუმორი

— დედიკო, მამიკო ახალგაზრდობაში ძალიან მორცხვი იყო?
— სამწუხაროდ კი, თორემ ახლა გაცილებით დიდი იქნებოდი.

* * *

მეზობელს სახლის კარზე დაუკაკუნეს. კარი ცოლმა გაუღო.
— საყვარელო, ორი კაცი მოვიდა. უბანში საცურაო აუზს აკეთებენ, დახმარებას ითხოვენ.
— ორი.... არა, არა, სამი ვედრო წყალი მიეცი.

* * *

ჯარისკაცი ზემდეგისაგან შვებულების ნებართვას იღებს: „მამა უნდა გავხდეო“.
ერთი კვირის შემდეგ ბრუნდება. ზემდეგი ეკითხება.
— ბიჭია თუ გოგო?
— ღვთის წყალობით, მაგას ცხრა თვის მერე შევიტყობთ.

თურქულიდან თარგმნა
ზაზა წურწუმიამ.

Nodar Dumbadze

# SONSUZLUK YASAK

Türkçesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KARAÖREN

**devam**

"İlk kez görüyorum seni. Şimdiye kadar neden gelmedin?" dedi ve gülümsedi Tamara. Baçana'nın yüreği güm güm vuruyordu. Şarabı öyle bir dikti ki, yüreğini susturmak istiyordu sanki.

"Benim yaşımdakiler hiç buralara gelmiyorlar!" diye yanıt verdi.

"Şimdi neden geldin?"

"Açtım," dedi Baçana ve yeniden şaraptan yudumladı.

"Ekşi mi?" diye sordu Tamara. Burnunu öyle çekti ki sanki şarabı kendisi içiyordu.

"Sizin şerefinize!" dedi Baçana, bardağını bitirdi.

"Hesap!" dedi bardağı yerine bırakırken.

"Fizik sınavından sonra gel de hesaplayalım."

"Tamara!" diye içerden Lasa seslendi.

"Geliyorum!" dedi Tamara. "Hemen geliyorum!"

Biraz sonra Tamara döndüğünde hayretler içinde kaldı. Çünkü Baçana yerinde yoktu. Masada duran şeylerin hiç birine dokunulmamıştı.

"Selam!" dedi Tamara ve Baçana'nın masasına oturdu.

"Selam!" diye yanıt verdi Baçana.

"Sınavını verdin mi?"

"Evet, verdim!"

"Kaç aldın?"

"Üç(1)!" Önemsemez bir biçimde gülümsedi. "Onu da Lomkatsa dedenin hatırı için verdiler." Sonra cebinden beş ruble çıkarıp masaya koydu. Bu dünkü yemek için," dedi.

Tamara paraya hiç bakmadı.

"Kaç sınavın kaldı şimdi?"

"Yahu Tamara, ne diye o toy çocuğa kendini kaptırdım böyle? Bizimle de ilgilensene!" diye bağırdı Dutu Tsenteratze.

"Lasa, on şişe şarap ver!" dedi. Lasa, şişeleri tezgâha sıraladı. Dutu, ayağa kalkıp, tezgâhın yanına gitti. Şarhoş olmuştu. Gözleri parlıyordu. O polisti. Kısa boylu, geniş omuzlu, güçlü ve upuzun kolları vardı. Kıçının üzerinde taşıdığı tabancasıyla bütün dünyanın kendisinin olduğunu sanıyordu. Tezgâha gitti ve kolunu Tamara'nın beline doladı.

"Yapma Dutu, işine bak; kızla uğraşma!" dedi Lasa.

"Kız şikâyet etmiyor, peki kim soruyor sana komşunun ineğinin gebe olup olmadığını ha?" dedi Dutu ve altı şişeyi parmakları arasına oyuncak gibi sıkıştırdı. "Bunu benim değil, senin yapman gerekirdi," dedi ve masasına dönüp oturdu.

"Bu kıza kim göz koyarsa, inanın ki onun tabutunu Mikelgabriel kilisesinin avlusuna koyarım!" dedi Dutu herkese duyurarak. Tamara, geri kalan dört şişeyi masalarına bıraktı. Dutu, elinden yakaladı ve yanına oturttu.

"Otur, senin şerefine içmek istiyorum," dedi ve ayağa kalktı. Elindeki bardakla Lasa'ya döndü."Lasa Basilia, bu kraliçeye tabakları yıkatıp taşıtıyorsun, hiç utanmıyor musun? Tanrı'dan da korkmuyor musun? Bunu bana ver de büyük kraliçe Tamara(1) gibi onu altın tahta oturtayım."

**devamı var**

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ოთარ დოლიძე, მიხეილ სვანიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.

## ბავშვების გამყიდველები – ახალი ფაქტები

საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩვილ ბავშვთა ყიდვა-გასხვისების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დამატებით კიდევ სამი პირი ამხილეს. ხობის რაიონის სოფელ ქვემო ჭალადიდში მცხოვრები ნურა კვარელია, სამტრედიის ვენდისპანსერის ექთანი, აბაშის რაიონის სოფელ მარანში მცხოვრები მაგული თელია-მანჯგალაძე და სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში მცხოვრები იზა დვალიშვილი. სწორედ მათ ჩამოჰყავდათ დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან ჩვილი ბავშვები თბილისელ ლალი ნატროშვილთან, რომელიც, თავის მხრივ, ჯენეტი ფერაძის დახმარებით ჰყიდდა ბავშვებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველო.

## გეძებე და კიდევ გპოვე...

ქართველმა პოლიციელებმა ქალაქ ნოვოსიბირსკში დააკავეს და საქართველოში ჩამოიყვანეს ყვარლის რაიონის პოლიციის მიერ ძებნილი გივი იორამაშვილი. დაკავებული არიან, აგრეთვე, ძებნილები ალექსანდრე ფახურიძე და ზურაბ მამუკაშვილი.

## არც მანქანის ქურდია ნემსი, თივის ზვინში რომ დაიმალოს

თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ავტომანქანის გატაცებისათვის დაკავებულმა ემზარ ბროძელმა, დავით მამულაშვილთან და გია კოლხიტაშვილთან ერთად, 1995 წლის 14 დეკემბერს თბილისში, მარტავას ქუჩიდან გაიტაცა ავტომანქანა „ვაზ-2121“ და შემდეგ 1200 დოლარად გაყიდა ცხინვალში. მანვე 1997 წლის 31 დეკემბერს დილის მასივში მდებარე ავტოფარეხიდან გაიტაცა ფირმა „ჯორჯიან ტრანსის“ კუთვნილი ავტომანქანა „მიცუბისი-პაჯერო“ და მიჰყიდა იგი ცხინვალის რაიონის სოფელ კვაისში მცხოვრებ ვინმე „კუმას“.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველო იძიებს.

## ბინაში იარაღი აღმოუჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო მთავარი სამმართველოსა და შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა პროკურორ პ. ბაბუციძის გატაცების ფაქტზე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, გორის რაიონის სოფელ ხეითში მცხოვრებ ბონდო გოჩაშვილის ბინიდან ამოიღეს „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი.

საქმეს პროკურატურა იძიებს.

## თაღლითი თავისას არ იშლის

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ადრე თაღლითობისათვის დაკავებულმა როლანდ ტაკიძემ 1997 წლის 8 მაისს თბილისში მცხოვრებ წ. დ.-ს მოტყუებით გამოსძალა 2100 ამერიკული დოლარი, ხოლო 1997 წლის 20 აგვისტოს ი. ჩ.-ს – 3000 დოლარი. დაადგინეს ისიც, რომ ადრე დაკავებულმა იოსებ ცუცხლაძემ 1997 წლის 17 ივნისს ე. ქ.-ს ფირმა „ჩაოში“ შეაგანინა 5000 დოლარი და მიითვისა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

---

დირსეულნი

# ღვაწლი, რომელიც დააფასეს



მეცხრე ათწლეულს მხნედ, ენერგიულად შეუდგა მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებით დამშვენებული, ღირსების ორდენის კავალერი – ბატონი **ალექსანდრე თხილაიშვილი.**

ჩვენ, მის მეგობრებს, ვისაც სხვადასხვა დროს მასთან უმუშავნია, ვინც მის ცხოვრებას კარგად იცნობს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონი ალექსანდრე XX საუკუნის ცოცხალი მემატიანეა, ღირსეული კაცია, რომელიც ყოველთვის მაღალი ზნეობრივი მოთხოვნის დონეზე იყო, სახელოვანი მამულიშვილია, რომელიც ერთგულად ემსახურა სამშობლოს, საკუთარ ხალხს, თავმდაბალი პიროვნებაა, რომელიც დღესაც კარგი მაგალითია საზოგადოებისათვის.

ბატონი ალექსანდრეს ბიოგრაფია ისეთივე რთული, წინააღმდეგობრივი და ზიგზაგისებურია, როგორც XX საუკუნეში ჩვენი სამშობლოს განვლილი გზა. მისი ბიოგრაფია შეიძლება 4 მთავარ პერიოდად წარმოვიდგინოთ, როცა თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდება პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფუნქციებით, მორალურ-ზნეობრივი თუ ფსიქოლოგიური კრიტერიუმებით.

დაიბადა ქობულეთში 1914 წელს. ფეხი და მშობლიური ენა აიდგა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში, გაიზარდა, დავაჟკაცდა, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბდა სოციალისტურ სამშობლოში, დღეს დიდი იმედით შეჰყურებს ახალი, თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობას.

ბუნებრივია, ასეთი ბიოგრაფიის კაცს არ ასცდა XX საუკუნის რთული კატაკლიზმების სუსხი. ბევრი იწვალა, გულმოდგინედ ისწავლა, მუყაითად იღვაწა, უხვად გასცა სიყვარული, ბევრს გზა გაუკვალა, დამოძღვრა. ცხოვრებამ იგი მკაცრად გამოსცადა, წარმატებაც ჰქონდა და ტკივილებიც, შვილის დაღუპვით მძიმე ტრავმაც მიიღო, მაგრამ მან ყველა სიტუაციაში მთავარი ადამიანური ღირსებები შეინარჩუნა. ბატონი ალექსანდრე პატიოსან, მართალ კაცად, ღირსეულ მამულიშვილად დარჩა. ჩვენ ამით ვამაყობთ.

ბატონი ალექსანდრე მაღალი რანგის პროფესიონალია. უბნის აგრონომი, რაიმიწგანში დარგის აგრონომი, მთავარი აგრონომი, რაიმიწგანის გამგე, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, რაიკომის მეორე მდივანი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ეს გზა ნაბიჯ-ნაბიჯ 36 წლის მანძილზე ღირსეულად გაიარა ბატონმა ალექსანდრემ და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა სახელმწიფო მოღვაწის მაღალი ავტორიტეტი. ის, რომ დღეს აჭარა ძლიერი ეკონომიკის, სამეცნიერო, საკადრო პოტენციალის, მაღალი განათლების, კულტურის მხარეა, არსებითად განსაზღვრა წინა თაობების თავდადებულმა შრომამ და ამ საქმეში უდავოდ დიდია ბატონი ალექსანდრეს პირადი წვლილი.

ამიტომაა, რომ დღესაც საზოგადოებაში მის აზრს, მის მიერ განვლილ სახელოვან გზას, მდიდარ გამოცდილებას ანგარიშს უწევენ, პატივს მიაგებენ, იზიარებენ, ქვეყნისთვის ერთგული სამსახურის კარგ მაგალითად აღიარებენ. სწორედ ამის გამო დიდი კმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებამ ბატონი ალექსანდრე თხილაიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დამსახურებული ადამიანების შეფასებას დიდი პოლიტიკური, ზნეობრივ-მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქვეყნის ძნელბედობის ჟამს. ის, რომ ხელისუფლება ჯეროვნად აფასებს დამსახურებული ადამიანის ღვაწლს, ბევრის მთქმელია; მომავალ თაობებს ქვეყნის ცხოვრების გუშინდელი დღისადმი მოკრძალებით, პატივისცემით განაწყობს.

სახელმწიფოსაგან ყურადღება, ზრუნვა პაერივით სჭირდება დღეს ყველას, განსაკუთრებით ღვაწლმოსილ ადამიანებს. მათი დამსახურების ჯეროვნად შეფასება ახალი საქართველოს აღმშენებლობის რთულ პროცესში ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ. ცხოვრებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ურთულეს ამოცანებს ყველა თაობის – უფროსის, საშუალოს და უმცროსი თაობების ერთობლივი ძალისხმევა, სიყვარულის, გამოცდილების, ცოდნის, ენერგიის ერთიანი მიმართულებით წარმართვა სჭირდება.

ვუსურვებთ ბატონ ალექსანდრეს ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას, სამშობლოს კეთილდღეობას.

**ნოდარ ჟითანავა,**
**მერაბ ძაჯაია,**
**კიტა შავიშვილი.**

---

გვწერენ

# მივხედოთ დედაბუნებას

## მარტვილელები კრწანისსა და წეროვანში

(პირველი გვერდიდან)

ისე, როგორც მთელ საქართველოში, რასაკვირველია, მარტვილშიც ჭეშმარიტი მამულიშვილური ღირსებით აღიქვეს პრეზიდენტის ეს მოწოდება და, აქედან გამომდინარე, ჩვენ, მარტვილის რაიონის ინჩხურის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად მიმდინარე წლის 8-9 აპრილს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კრწანისის რეზიდენციაში და წეროვანში ჩვენი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე დავრგეთ 400 ძირი ხე (კედარი, კიპარისი და სხვადასხვა ხეხილი).



იმ დღეებთან დაკავშირებით თავს მოვალედ ვთვლი აღვნიშნო შემდეგი:

თბილისში დიდი ყურადღება, ადამიანური სითბო და გულისხმიერება გამოიჩინეს ჩვენს მიმართ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირაკლი ანდრიაძემ და მისმა მოადგილემ გურამ მამულაშვილმა.

დიდი მადლობა მათ ამისათვის!

იმ დღეს, ნერგებს რომ ვრგავდით, ერთმა თბილისელმა ქალბატონმა ედუარდ შევარდნაძის სიტყვები გაიხსენა: „სამეგრელოა ქართველთა ერთიანობის ხერხემალი, სამეგრელოა ჩვენი სამშობლოს ძლიერების, რწმენის ქვაკუთხედი“.

სამეგრელოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც ობიექტურად აფასებს ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას, – უთხრა მას ერთმა ჩვენთაგანმა, სამეგრელო არასოდეს გასტეხს ქუჯის მიერ დადებულ ფიცს, რომლითაც ფარნავაზის დროიდან იბრძვის იგი ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად და გასაძლიერებლად.

დღეს ყველა მეგრელის ერთადერთი ოცნება, მიზანი და ცხოვრების შინაარსი ერთიანი, მონოლითური, ძლიერი და თავისუფალი საქართველოა.

თავისუფალ საქართველოში კი, ცხადია, არავის უნდა მიეცეს ეროვნული სიმდიდრის განიავების უფლება.

ამიტომაც თბილისიდან რომ დავბრუნდით, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: მარტვილის რაიონის ინჩხურის საშუალო სკოლა ყოველი წელიწადის ერთ დღეს ყველა მოსწავლე, მასწავლებელთან ერთად, დარგავს თითო ძირ ხეს.

„თვით უმშვენიერეს ოცნებამიც კი, ადამიანი ბუნებაზე უფრო ლამაზს ვერაფერს წარმოიდგენს“, ამბობს ერთი ფრანგი მწერალი და ჩვენც, ქართველებმა, დროა, დიდი ხანია დროა მივხედოთ ჩვენს ლამაზ ბუნებას და აღვადგინოთ ტყის მოვლის ქართული ტრადიციები.

**შორენა ახვლედიანი,**
**მარტვილის რაიონის ინჩხურის საშუალო სკოლის დირექტორი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე.**

---

ხსოვნა

# თამარ გვერდწითელი



ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მუსიკის მეთოდისტი, ქალბატონი **თამარ გვერდწითელი.**

იგი იყო სახალხო განათლების წარჩინებული, შრომის ვეტერანი, დამსახურებული მასწავლებელი.

ქ-ნ თამარ გვერდწითელის ცხოვრება და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის სისტემის განვითარებასთან; იგი დღენიადაგ ზრუნავდა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის.

თ. გვერდწითელი გვევლინება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ ფუძემდებლად. არის მრავალი სახელმძღვანელოსა და მეთოდური რეკომენდაციის ავტორი, თანაავტორი. მის მიერ მუსიკალური აღზრდის საკითხებზე, შექმნილ მეთოდურ რეკომენდაციებზე დღესაც იზრდებიან და კვლავაც აღიზრდებიან ჩვენი ბავშვები.

სხვადასხვა წლებში ქ-ნი თამარი მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მდიდარი შემოქმედებითი მუშაობა ქ. სოხუმში.

ქ-ნი თამარი უკანასკნელ ხანებამდე თანამშრომლობდა და კონსულტაციას უწევდა სკოლამდელი აღზრდის მეთოდურ სამსახურებსა და, საერთოდ, სკოლამდელ დაწესებულებებს.

განათლების სისტემაში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ იცნობდა მის მდიდარ შემოქმედებას, მის ღვაწლსა და უნარს.

საქართველოს განათლების სამინისტროს, მისი სამეცნიერო მეთოდური ცენტრისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდური სამსახური, მთელი სკოლამდელი აღზრდის სისტემა ქალბატონ თამარს იცნობდნენ, როგორც უდიდესი კულტურის, დახვეწილ, მაღალი ინტელექტის მქონე, სანიმუშო პროფესიონალს, თავის საქმეზე უსაზღვროდ და უანგაროდ შეყვარებულ კეთილშობილ ადამიანს.

თამარ გვერდწითელის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების, მისი ნიჭისა და ღვაწლის მრავალრიცხოვან დამფასებელთა ხსოვნაში.

**საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრი;**
**ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოება.**

---

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 80 წლისთავი

# სტუმრები აზერბაიჯანის ეკოლოგიური ცენტრიდან

– ბუნება შენი მეგობარია, რას აკეთებ მისი ერთგულების სანაცვლოდ? როგორ ზრუნავ შენი ქვეყნის მწვანე სამოსელისთვის, – გაახარე ყვავილი? დარგე ხე? ფრინველებს გაუმზადე საკვები? უფრთხილდები მშობლიური მხარის ბუნებრივ სიმდიდრეს? გახსოვდეს, ბუნების ბედი შენი ბედია, ის მუდამ შენი ზრუნვის მოლოდინშია.

ასეთი მოტივებით ჩამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიური ცენტრიდან 60 მოსწავლე. მათ მასპინძლობდა საქართველოს ნატურალისტურ-საცდელი მუშაობისა და ეკოლოგიური განათლების რესპუბლიკური სახლი (დირექტორი ვახტანგ შუბითიძე), სადაც მარტო თბილისის სკოლების 400-ზე მეტი ნორჩი ეკოლოგია გაერთიანებული.

აზერბაიჯანიდან ჩამოსულებმა 60 ძირი კიპარისის ნერგიც ჩამოიტანეს. სტუმარ-მასპინძლებმა თბილისის ზღვის მიდამოებში დარგეს ბაქოდან ჩამოტანილი ნერგები.

ორი მეგობარი მეზობელი სახელმწიფოს ბუნების ნორჩმა დამცველებმა საქართველოს განათლების სამინისტროს ნატურალისტურ-საცდელი მუშაობისა და ეკოლოგიური განათლების სახლში ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. ერთად აღნიშნეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების 80 წლისთავი.

... საგურამოს ნაკრძალის მონახულების შემდეგ, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და თბილისის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერებინეს.

მეგობრობის აქცია მიმდინარეობდა დევიზით: „კავკასია ჩვენი სახლია!“

ეს ფოტოსურათიც ფოტოკორესპონდენტმა **თედო ნიკოლაიშვილმა** აზერბაიჯანისა და საქართველოს ნორჩ ეკოლოგთა შეხვედრაზე გადაიღო.

დასასრულ სტუმარ-მასპინძლებმა მიიღეს ერთობლივი მიმართვა კავკასიის მოსწავლე ახალგაზრდებისადმი; მიმართვაზე ასეთი ხელმოწერაა: – „კავკასიის საერთაშორისო ბავშვთა ეკოლოგიური კავშირი „ჩვენი სახლი“.

**ნათელა ფაილოძე.**



---

გამოიცა

# კარგი წიგნისა და მისი ავტორის შესახებ

ამას წინათ გამოვიდა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იოსებ ხარატიშვილის ავტობიოგრაფიული ხასიათის, კარგად გააზრებული და გაფორმებული წიგნი, რომელიც მრავალმხრივ იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას. **ჯერ – ერთი,** იგი კარგად ასახავს არამარტო ერთი კაცის მიერ განვლილ გზას, არამედ სრულად იძლევა იმ სოციალურ-ეკონომიკური გარემოს დახასიათება-შეფასებას, სადაც ბატონი იოსების, როგორც მოღვაწის, ჩამოყალიბება-ფორმირება ხდებოდა. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ უჩვეულო ამოცანას ავტორმა თავი ჩინებულად გაართვა. **მეორე:** წიგნი არამარტო ავტორის ფანტაზიის წყალობით მოტანილი ანალიზითა და შეფასებებითაა საგულისხმო, არამედ საზოგადოებრივი პროცესების სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ობიექტური შეფასებითაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი წიგნის გულდასმით გაცნობით მკითხველი აღიდგენს 60-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე რთული ცხოვრების ბევრ საინტერესო მხარეს და შეუძლია საკუთარი პოზიციებიდანაც შეაფასოს ისინი. **მესამე:** ასეთი წიგნის გამოცემა ხელს უწყობს ადამიანების ღვაწლის წარმოჩენას და მათი მამულიშვილური მოქმედებების რეალურად შეფასებას, პიროვნების როლის სწორად გააზრებას, მისთვის საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის განსაზღვრას, დღეს წარსულის მიმართ დამკვიდრებული ნიჰილისტური დამოკიდებულების თანდათანობით შენელებას. ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ასეთი ჟანრის წიგნი (თუ იგი კარგად არის გააზრებული და ღირსეული ადამიანის ცხოვრებას მეტნაკლები სისრულით ასახავს) დიდ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკის შექმნის რთულ პროცესში სახელმწიფო, სამეურნეო სტრუქტურებში მომუშავე ახალგაზრდებს.




საქმე ის გახლავთ, რომ ახალი ცხოვრების აშენება ურთულესი ამოცანაა. იგი, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ ე. წ. პატრიოტული მუზნებარებით, განსაკუთრებული სურვილით ან უცხოეთში მიღებული განათლებით არ გადაწყდება. საჭიროა თანამედროვე ცხოვრების ღრმად შესწავლა, საზოგადოების განვითარების ზოგადთეორიული სქემების თუ პრაქტიკული გამოცდილების გაცნობა-ანალიზი, დიდი გარდაქმნებისათვის ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრების მომზადება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში სტიქიურად განვითარებულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა საზოგადოება გახლიჩა, ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგების ფონზე პიროვნებამ ბევრი რამ დაკარგა (მატერიალური, სულიერი). მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი აღმოჩნდა.

წიგნი ხაზს უსვამს დღევანდელობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემის ხელმძღვანელის (უკანასკნელ პერიოდში ლიდერის ცნებაშია ყველაფერი თავმოყრილი) ფორმირებაზე მოქმედ პოლიტიკურ თუ ზნეობრივ-მოქალაქეობრივი ფაქტორების მნიშვნელობას.

ბატონი იოსების მიერ განვლილი გზის გაცნობით მკითხველს არ გაუჭირდება გააკეთოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ძალიან ძნელია და წინააღმდეგობრივი მოღვაწის ჩამოყალიბების პროცესი, რომ იგი ხანგრძლივი პერიოდით განისაზღვრება, რაც არსებითად მოითხოვს ისეთ ბუნებრივ მონაცემებს, როგორიცაა ნიჭიერება, კაცთმოყვარეობა, ნებისყოფა, მიმტევებლობის, ორგანიზების უნარი და სხვა.

წიგნის მკითხველი (რომც არ იცნობდეს ბატონ იოსებს) პატივისცემით განიმსჭვალება ავტორის მიმართ, მოწიწებით შეაფასებს მის მიერ განვლილი გზის ყველა მონაკვეთს. ის მკითხველი კი, რომელიც კარგად იცნობს ავტორს ერთად მუშაობით, მასზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვს, შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს იმის გამო, რომ წიგნში სრულად ვერ აისახა კოლორიტული პიროვნების მრავალმხრივი მოღვაწეობის ძირითადი მხარეებიც. ჩვენი აზრით, ეს წიგნის არჩეული ჟანრის ჩარჩოში მოქცევის სურვილმა განსაზღვრა. ამის გამოსწორება შეიძლება თუ მორიგ გამოცემაში ბატონი იოსების მიმართ მისი მეგობრების მოსაზრებებსა და შეხედულებებსაც შევიტანთ.

**ნოდარ ჟითანავა.**

---

გახსენება

# ზურაბ გურჯიძე



25 მაისს 60 წელი შეგისრულდებოდა, მამა, 60 წელი... როგორი ლამაზი იქნებოდა ეს დღე, შენ რომ ჩვენს გვერდით ყოფილიყავი. წელიწადის ყველაზე ლამაზ დროს გაზაფხულზე იყავი დაბადებული და, ალბათ, იმიტომაც იყავი ისეთი ლამაზი, სიცოცხლით სავსე და კეთილი ყველას მიმართ.

უკვე ხუთი წელიწადია, შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ, ძალიან განვიცდით უშენობას შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. შენ ხომ ყოველთვის ამაყობდი შვილებითა და შვილიშვილებით, გიხაროდა – „სამი ვაჟკაცი შვილიშვილი მეზრდებაო“. უნდა გაგახარო მამა, შენი „პაწა ბაბუ ზვიადუკა“, დღეს საქართველოს ჩემპიონია კარატეში. არც დიდი ბიჭები არცხვენენ სწავლით შენს სახელს და კიდევ ერთი, მთავარი, მამა, რასაც შენი სული მანდ იგრძნობდა, ალბათ, მეოთხე შვილიშვილი გაჩუქე, პატარა გოგონა, რომელსაც მარიამი ჰქვია.

შენ ძალიან ძლიერი ადამიანი იყავი მამა, შენი ოჯახის დიდი იმედი, მფარველი და ბურჯი. მთელი შენი ცხოვრების დიდი ნაწილი აჭარაში, ბათუმსა და ქობულეთში გაატარე და ყველგან გიცნობდნენ, როგორც ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს, სიმართლის დამცველს, ყოველთვის კაცურ-კაცობისა და პატიოსნების განსახიერება იყავი. მეამაყება, რომ შენი რძალი ვარ, შენს სახელს ყოველთვის დიდი სიყვარულით და სიამაყით ვახსენებ. შენ – ერთმა კაცმა შენი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე იმდენი შეძელი და გააკეთე, რასაც ბევრი ნამდვილად ღრმა სიბერემდისაც ვერ შეძლებდა.

შენს შემდეგ, მამა, ბევრი გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ ყოველთვის შენი საქმე და სახელი გვიფარავდა და გვიცავდა ყოველი განსაცდელისაგან. და დღესაც, შენს მიერ გაკვალულ გზაზე დგანან შენი შვილები, ამირანი და ავთო და მწამს, რომ შენი სული დაიფარავს და ააცილებს მათ ყოველგვარ განსაცდელს.

შენს მშობლიურ რაჭაში, იქ, სადაც, სამუდამო სასუფეველი ჰპოვე, მამა, შენმა შვილებმა გადაწყვიტეს, შენი სულის მოსახსენებლად, წლების განმავლობაში მიტოვებული და დანგრეული ეკლესიის აღდგენა-აშენება.

ძალიან, ძალიან გვაკლიხარ ყველას, მამა. ვინც კი გიცნობდა, ყველა დიდი პატივისცემით გიხსენებს. შენი საამაყო შვილიშვილები დღეს უკვე დიდი ბიჭები არიან და ძალიან მტკივა გული, ასეთი კარგი ბაბუა რომ აღარა ჰყავთ. შენს სახელს ისინი არასოდეს დაივიწყებენ, არასოდეს.

მადლობელი ვარ, მამა, ყველაფრისათვის, მადლობელი.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

**შენი რძალი ნანა.**

---



მეუღლე ნაირა, შვილები დათო, ანა, დები ლია, ნატო, ძმა გურამი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვალერი ბიჭიკოს ძე
ქაჯანაია
პანაშვიდი 28, 29 V, 3 ს. გამოსვენება 30 V, 2 ს. თბილისი, გრიბოედოვის 24.

მზეონა, ზვიად თოფურიები იუწყებიან სიძის
ვალერი ქაჯანაიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის აეროპორტის ყოფილი დირექტორი
ვალერი ბიჭიკოს ძე ქაჯანაია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ცისანა და გურამ ბოცვაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
დალი მელქაძე-დუმბაძისა
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამეურნეო სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციური მათიაშვილს მამის
ვალერიან მათიაშვილის
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა საგარეჯოს რაიონის სოფ. თოხლიაურში, 31 V, 2 ს.

შვილი მარინა პეტრიაშვილი, რძალი ალა, სიძე ბუხუტი კიკალეიშვილი, შვილიშვილები მანანა, რუსუდან გიოშვილები, თეა, არჯევან კიკალეიშვილები, შვილთაშვილი გიორგი, სიძე გიორგი ჯვებენავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირა ნიკოლოზის ასული გიოშვილი
პანაშვიდი 28, 29 V, 5 ს. გამოსვენება 30 V, 3 ს. ვ. ფშაველას 15-ა.

შვილიშვილი თეა კიკალეიშვილი, სიძე გიორგი, შვილთაშვილი გიორგი, მძახლები მაყვალა, გოგი, სალომე ჯვებენავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირა ნიკოლოზის ასული გიოშვილი.

**სინათლე! მეტი სინათლე!**
ორგანიზაცია გთავაზობთ საუკეთესო ხარისხის [illegible] – 200 [illegible].
ტელეფონი: 95-28-06.

ორგანიზაცია სამუშაოდ იწვევს მომმარაგებელს (ელექტრიკოსს) ტელ: 33-57-70.

ორგანიზაცია იჯარით აიღებს სასაწყობო ტერიტორიებს.
ტელ: 33-57-70.

ორგანიზაცია სამუშაოდ იწვევს ახალგაზრდა ქალბატონებს მდივნის თანამდებობაზე.
ტელ: 33-57-70.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი 20.